ფასი სამი შაური

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი სოფელი

№ 1 ყოველთვიური სასოფლო სამეურნეო და პოპულარული მეცნიერული ჟურნალი იანვარი



## შინაარსი.


ჩვენი ჟურნალი

სოფლის მეურნეობის მიმოხილვა
აგრ. ნ. აღნიაშვილი

ნიადაგის გაუმჯობესება
აგრ. ნ. ა—ლი

მიწის დაცვა ნიაღვრებისაგან
მეტყევე გ. ბრეგვაძე

ვენახის გაშენება ნამყენ ვაზით
აგრ. ვ. ბიბილაშვილი

რა და რა ღვინოს დაყენება შეიძლება საქართველოში
აგრ. ვ. ბერეკაშვილი

მაკე ძროხის კვება და მოვლა
მესაქონლე მ. ციმაკურიძე

ღორის მოვლა-კვება
მესაქონლე მ. ჭურიძე

ჩაის ბუჩქის გაშენების მნიშვნელობა
აგრ. ივ. ჯაში

როგორ დავიფაროთ მანდარინის ხე ყინვისაგან. აგრ. ერ. ნაკაშიძე

ტყის ხელოვნურად გაშენება
მეტყევე მ. ცერცვაძე

სასწრაფო დახმარება
ექ. ივ. გომართელი

მთვარისდა ბნელება . . . . ნ. ა.

რადიო და მისი მნიშვნელობა
აკ. შანიძე

გამოსადეგი ცოდნა

კითხვა-პასუხი


ტფილისი
1928

ქართველთა სასოფლო-სამეურნეო და მეცნიერულ-პოპულიარული ჟურნალი

# „ახალი სოფელი“

გამოდის 1928 წლის იანვრიდან აგრონომ ნ. აღნიაშვილის საერთო რედაქციით.

ჟურნალს სცემს გაზეთი „ახალი სოფელი“-ს რედაქცია.

**ჟურნალის მიზანია:** მიაწოდოს მშრომელ გლეხობას აგრონომიული ცოდნა, გააცნოს მას ჯანმრთელობის და მეცნიერების საკითხები გასაგებ ენაზე.

ჟურნალში მონაწილეობენ ჩვენი ცნობილი აგრონომები: მევენახეობაში ვ. გიბილაშვილი; მეღვინეობაში კ. გერმკაშვილი; მესაქონლეობაში — მ. ციმაკური ძე; მებაღეობაში — მ. ძარცივაძე; მეტყეობაში —გ. ბრეგვაძე; სუბტროპიკულ კულტურის დარგში ერ. ნაკაშიძე; მემინდვრეობაში — ნ. აღნიაშვილი; ტეხნიკურ მცენარეების კულტურის დარგში— ი. ჟურდანი; მეაბრეშუმეობაში —ვლ. ნიშარაძე მეფუტკრეობაში—პ. ლოლაძე; ვეტერინარიაში საქონლის ექიმი -მ. მირიანაშვილი.

ჟურნალში ჯანმრთელობის დარგს ხელმძღვანელობს ცნობილი ექიმი ივ. გომართელი.

მეცნიერულ-პოპულიარულ განყოფილების ხელმძღვანელად მოწვეული არიან მეცნიერული ძალები და სათანადოთ მომზადებული პირები.

გარდა ჩამოთვლილ პირებისა ჟურნალში მონაწილეობენ **აგრანომები:** თ. მეგრელიშვილი, ი. ჯაში, კ. ლეჟავა, კრ. ჯაფარიძე (ტფილისი), ნ. ეფრემიძე (სიღნაღი), ნ. ნუცუბიძე (ქუთაისი), პ. ღვალაძე (შორაპანი), ნ. კეჩხუაშვილი (გორი), არ. კობახიძე (სიღნაღი) და ვ. შანიძე (გურია). **სპეციალისტები:** აპ. წულაძე, ქეთო ყანჩაველი და ვ. ჭანაფქოშვილი.

ჟურნალში თანამშრომლობენ აგრეთვე გამოცდილი სოფლის მეურნეები.

ჟურნალი გამოდის ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

**ამხ. გლეხებო! შეიძინეთ და იკითხეთ თქვენთვის მეტად საჭირო ჟურნალი „ახალი სოფელი“.**

## ჟურნალის ხელისმოწერის პირობები:

წელიწად— 1 მ. 50 კ., ექვსი თვით—80 კაპ., სამი თვით—40 კაპ.

ცალკე ნომერი 15 კაპ.

ხელისმოწერა მიიღება ყველა ქოხ-სამკითხველოებში და რედაქციაში შემდეგი მისამართით:

ტფილისი, ვოლოდარსკის ქუჩა № 11. ჟურნალ „ახალი სოფელის“ რედაქციას.



მუშაკნო მეშუბის და გლეხების კავშირის!

# ახალი სოფელი

ყოველთვიური სასოფლო-სამეურნეო და პოპულიარულ-მეცნიერული ჟურნალი

№ 1 იანვარი 1928 წ.

## ჩვენი ჟურნალი

საგლეხო ლიტერატურის გამოცემა ჩვენში ძალზე მოიკოჭლებს. მართალია, თითო-ოროლა წიგნაკი გამოდის, მაგრამ, სამწუხაროთ, მისი გავრცელების საქმეს არაფერი ეშველა. სოფლისათვის საჭირო ლიტერატურა ტფილისს აღარ სცილდება.

ვიმეორებთ, ძალიან ცოტა გვაქვს გლეხური ლიტერატურა და რაც გვაქვს, რაც იცემა, ისიც ხშირად ვერ აღწევს გლეხკაცობას. ასეთია დღევანდელი მდგომარეობა. ჩვენი ძირითადი ამოცანაა ამ მდგომარეობის მოსპობა, გლეხურ ლიტერატურის გამოცემისა და გავრცელების სიძნელეთა დაძლევა.

გლეხობას ჩვენ უნდა მივაწოდოთ იაფფასიანი, გასაგებ ენაზე დაწერილი ლიტერატურა ყოველგვარ საკითხებზე: აგრონომიაზე, ჯანმრთელობაზე, პოლიტიკაზე, ხელოვნებაზე, მეცნიერებაზე და სხ.

კერძოთ, დღევანდელ პირობებში, **საჭიროა სამეურნეო ხასიათის ლიტერატურისა და ცოდნის მიწოდება სოფლისათვის.** ჩვენი ქვეყანა უმთავრესად სასოფლო მეურნეობის ქვეყანაა. ამიტომ აგრონომიული ცოდნის გავრცელებას გლეხობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

მეორე მხრივ, **ჯანმრთელობის** საკითხებიც იპყრობს გლეხკაცობის ყურადღებას. გლეხმა უნდა იცოდეს საკუთარი თავის მოვლა-პატრონობა, მას უნდა ქონდეს ზოგადი წარმოდგენა მაინც ჰიგიენაზე, სისუფთავე—სანიტარიაზე, პირველსაჭიროების დახმარებაზე ავადმყოფობის დროს და სხვა

**ჩვენი გლეხობა არც პოპულიარულ მეცნიერებასთან გაცნობის წყურვილსაა მოკლებული.** ახალი გამოგონებანი, ახალი აღმოჩენები მეცნიერებასა და ტექნიკაში, რასაც მნიშვნელობა აქვს განსაკუთრებით სოფლის მეურნეობისათვის, უნდა იცოდეს გლეხმა. მაგალითად, რა არის რადიო, რა ფიზიკური კანონებით მოქმედებს ის, როგორ მიაღწია კაცობრიობამ რადიო-გადაცემის გამოგონებამდე—ყველაფერი ეს მეტად საინტერესოა და საყურადღებო. მაშასადამე სამი ძირითადი ამოცანაა ჩვენს წინაშე წამოჭრილი გლეხობის კულტურულად დაწინაურების საქმეში:

პირველი—აგრონომიული ცოდნის განვითარება-გაფართოება;

მეორე—ჯანმრთელობის საკითხების გაცნობა და

მესამე—პოპულიარულ მეცნიერული ცოდნის გავრცელება გლეხკაცობის ფართო მასაში.

აი ამ ამოცანების განხორციელებისათვის ხელის შეწყობის მიზნით გაზ. „ახალი სოფლის“ რედაქცია უშვებს სასოფლო სამეურნეო, ჯანმრთელობის და მეცნიერულ-პოპულიარულ ხასიათის ჟურნალ **„ახალ სოფელს“.**

ამ ჟურნალს მეტად ფართო და საგულისხმო ამოცანები აქვს დასა-

ხული. ჩვენ ვფიქრობთ, მმოომკლი გლეხობა აღფრთოვანებით გამოეხმაურება ამ ჟურნალს, წაიკითხავს მას.

ჟურნალი, ჯერჯერობით, თვეში ერთხელ გამოვა. შემდეგში კი, თუ საჭიროებამ მოითხოვა, თვეში ორჯერაც გამოიცემა.

**ჩვენ გვჯერა, ჟურნალი თავის დანიშნულებას გაამართლებს, დახახულ მიზნებს შეასრულებს და, რაც ალსანიშნავია, ღრმად შეიჭრება საბჭოთა სოფლის შუაგულში.**

## სოფლის მეურნეობის მიმოხილვა

არავისათვის სადავო არ არის, რომ ჩვენი ქვეყანა უმთავრესად სასოფლო - სამეურნეო ქვეყანაა. ჩვენი მშრომელი ხალხის დიდი უმრავლესობა თითქმის 78 პროცენტი სოფლის მეურნეობას მისდევს. მასთან ჩვენი სოფლის მეურნეობა მეტისმეტად მრავალფეროვანია, ამას ხელს უწყობს ქვეყნის ბუნებრივი პირობების სხვადასხვაობა. აქ კაცი შეხვდება, როგორც ცივ, ისე თბილ ქვეყნების მცენარეულობას. აქ, გვერდიგვერდ მეტ-ნაკლებობით განვითარებულია, როგორც მესაქონლეობა, ისე მემინდვრეობა და მებაღეობა. ჩვენ გვგონია, რომ საინტერესოა ვიცოდეთ, თუ რა მდგომარეობაშია ამჟამად ყველა ეს დარგები.

**მემინდვრეობა.** ჩვენ სასოფლო-სამეურნეო დარგებში ყველაზე უფრო მემინდვრეობაა განვითარებული. 1927 წელს დათესილი იყო 718 ათასი ჰექტარი, რომლიდანაც აღებულ იქნა 609 ათასი ტონა მოსავალი. მემინდვრეობაში შედის არამც თუ ხორბლეულობის და საკვებ ბალახების მოსავალი, არამედ ბამბეულობაც და მეთამბაქოობაც, რომლებიც დიდის სისწრაფით ვითარდებიან. 1927 წ. **ბამბას** ეჭირა დაახლოებით 5 ათასი ჰექტარი, რომელმაც მოგვცა რვა - ასი ტონა ბამბა. იმავე წელს **თამბაქოს** ეჭირა 13 ათასი ჰექტარი და მოგვცა 10 ათასი ტონა მოსავალი. მემინდვრეობაშივე შედის ახალი ტეხნიკური მცენარის — კენაფის მოყვანა, რომლის კულტურა თანდათან ფეხს იკიდებს ჩვენში. ის საკმაოდ კარგ სართავ მასალას — **ბოჭკოს** იძლევა, რომელსაც ბაზარი ძალიან საჭიროებს.

**მევენახეობა.** მევენახეობას სოფლის მეურნე ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდა და დიდ შემოსავალსაც აძლევდა. მაგრამ ფილოქსერის შემოსევამ ვენახების არე მეტისმეტად შეამცირა. ნამყენი ვაზით ვენახების აღდგენამ ჩვენი მევენახეობა ამ გაჭირვებიდანაც გამოიყვანა და ისევ აღორძინების გზაზე დააყენა. ჩვენი ხელისუფლების მეთაურობით ეს საქმე მეტის - მეტ სისწრაფით ვიდის წინ და მალე მისი არე 1913 წლის არეს გაუთანაბრდება, როცა ფილოქსერა ჯერ კიდევ მოდებული არ იყო ყველგან. 1927 წელს ვენახის არე იყო 38 ათასი ჰექტარი. ვენახების აღდგენის სისწრაფისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ნამყენი ვაზის დამზადებას, ესე იგი სანერგეების გაშენებას. ამ საქმეში დიდ სამსახურს უწევს სახალხო მამულების ტრესტი თავისი სანერგეებით, რომლის სივრცე 1927 წელს უდრიდა 188 ჰექტარს. სანერგეები გაშენებული ჰქონდათ აგრეთვე სხვა დაწესებულებებს, არტელებს და კერძო მეურნეებს, სულ სანერგეების არე იყო წარსულ წელს 280 ჰექტარი, რომელმაც დაახლოებით 6 მილიონი ცალი ნამყენი ვაზი მოგვცა. გარდა ამისა, გაკეთებულ იქნა 11 სათბური, რომლებიც ყოველ წლიურ მოგვცემს 5 მილიონ ცალ ნამყენ ვაზს. მევენახეობა - მეღვინეობის აღდგინის საქმისვე იმსახურება ორი მევენახეობა-მეღვინეობის საცდელი სადგური, ერთი დასავლეთ საქართველოში, ს. საქარაში და მეორე კახეთში, ს. ურიათუბანში.

**მებაღეობა** მებაღეობასაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ჩვენი სოფლის მეურნეობაში. მისი ნაწარმოები, მევენახეობასთან ერთად, მეურნეობის საერთო წარმოებაში თითქმის 17 პროცენტს შეადგენს. 1927 წელს მებაღეობას ეკავა 16 ათასი დესეტინა, ესე იგი ერთი ორად მეტი, ვიდრე 1923 წელს. მისი განვითარება ერთის მხრივ იმით აიხსნება, რომ როცა ჩვენ მებაღეობის რაიონებში ვენახებმა ფილოქსერისაგან გახმობა იწყეს, სოფლის მეურნემ გამოსავალი იმაში ნახა, რომ ვაზის ნაცვლად ხეხილის გაშენება დაიწყო. გარდა ამ გარემოებისა, მებაღეობის ნაწარმოებში ამ ბოლო წლებში გასავალი იპოვა დიდ ბაზარზე და მისი გასაღება უზრუნველყოფილი გახდა. მასვე ხელს უწყობს ის სახელმწიფო სანერგეები, რომლებიც თითქმის ყველა კუთხეშია გაშენებული: სკრაში, მერეთში, თბილისში, წინამძღვარიანთკარში, აჯამეთში, ჰრებალოში, ლანჩხუთში და სხვაგან. ეს სანერგეები ცდილობენ მიაწოდონ გლეხობას ისეთი ჯიშის ხეხილი, რომელიც მათ რაიონებისათვის უფრო ხელსაყრელია. 1923 წლის აღწერით ხეხილის ნარგავი 4 მილიონ ძირს აღემატებოდა. უნდა ვიფიქროთ, რომ ამჟამად მათი რიცხვი გაცილებით მეტია.

მებაღეობასვე უნდა მივაკუთვნოთ თბილი ქვეყნის (სუბტროპიკული) მცენარეების კულტურა (გაშენება). მათ შორის უფრო საყურადღებო ჩაის ბუჩქია, რომელსაც 1927 წელს 1904 ჰექტარი ეჭირა. ამ კულტურას დიდი ყურადღება აქვს მიქცეული ხელისუფლებისაგან. დაარსებულია საქციო საზოგადოება **„საქართველოს ჩაი“**, რომლის მიზანია ჩაის კულტურის იმდენად გაფართოება, რომ მას შეეძლოს არამც თუ საქართველოს, არამედ **მთელი საბჭოთა კავშირის მოთხოვნილების დაკმაყოფილება.** ამ მიზნით მიღებულია ყველა ამისათვის საჭირო ზომები: გამოწერილია სათესლე მასალა, დაარსებულია რამდენიმე ჩაის ფოთლის დამმამუშავებელი ქარხანა და სხვა. სუბტროპიკულ მცენარეებში ყურადღებას იქცევს აგრეთვე მანდარინის ნარგავები, რომლებსაც დაახლოვებით 760 ჰექტარი უკავია.

**მესაქონლეობა.** 1927 წელს საქართველოში ითვლებოდა სულ 4 მილიონი 233 ათასი სული საქონელი, აქედან ცხენი —95 ათასი, მსხვილფეხა საქონელი —1 მილიონი 442 ათასი, ცხვარი —1 მილიონი 900 ათასი, ღორი —586 ათასი, თხა —191 ათასი და სხვა. ჩვენი საქონლის გასაუმჯობესებლად მიღებულია სხვადასხვა ზომები: დაარსებულია ფერმები, გამოწერილია საუკეთესო ჯიშის სანაშენო სა[illegible]. დარსებულია სამაკებელი პუნქტები და სხვა.

**მეაბრეშუმეობა.** აბრეშუმის მოსავალი 1927 წელს იყო 120 ათასი ფუთი, ესე იგი 25 ათასი ფუთით მეტი, ვიდრე 1913 წელს. მეაბრეშუმეობაც ფართე ხასიათს ღებულობს. აბრეშუმის ჭიის დასმა იქაც კი დაიწყეს, სადაც მისი ხსენებაც არ იყო. ამას ხელს უწყობს მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატი ,თავის სანერგეებიდან თუთის ხის ნერგების მიწოდებით, ყოველწლივ მეაბრეშუმეობის კურსების გახსნით და საკუთარ აბრეშუმის ჭიის თესლის დამზადებით.

**მეფრინველეობა.** 1927 წელში ფრინველი ითვლებოდა ოთხ მილიონ ნახევარი, რომლისაგან მიღებულ იქნა 204 მილიონი ცალი კვერცხი. აქაც ყოველი ზომაა მიღებული ჩვენი მეფრინველეობის გასაუმჯობესებლად. გამოწერილია საუკეთესო მეკვერცხე ჯიშის ფრინველი და დარიგებულია სხვადასხვა მაზრებში.

1927 წელს მთელი სასოფლო სამეურნეო ნაწარმოები მანეთებში სულ ეთანაბრებოდა 109 მილიონს, აქედან მცენარეულობას ეკუთვნის —71 მილიონი, მესაქონელობას კი— 38 მილიონი მანეთი.

**ნ. ალნიაშვილი.**

# სოფლის მეურნეობა

## ნიადაგის გაუმჯობესება

მეურნემ ყოველთვის უნდა იცოდეს თავის მამულის ნიადაგის თვისებანი.

ნიადაგი ბევრნაირია: თიხნარი, ქვიშნარი, კირნარი, შავი-მიწა, თიხნარ-კირნარი, ქვიშნარ-თიხნარი, კირნარევი და სხვა.

**თიხნარ ნიადაგს** იმ ნიადაგს ეძახიან, რომელშიაც ორ-მეხუთედზე მეტი თიხაა და დანარჩენი სხვა ნივთიერებანი.

თიხა-ნიადაგი ცივია და მძიმე. სიმკვრივე დიდი აქვს, ძარღვიანია და ამიტომ ჰაერს მძიმედ უშვებს. სამაგიეროდ წყალს კარგად იკავებს. წვიმის შემდეგ ძლიერ იზილება, იწებება და იგლისება, გვალვის და სიმშრალის დროს დიდ გორახებად იმტვრევა და სქდება. ამისათვის მისი მოხვნა მძიმეა. ასეთი მიწები ჩვენში ძლიერ ბევრია.

თიხის მეტნაკლებობის მიხედვით ნიადაგი არის ძლიერ მძიმე, საშუალო და მომსუბუქო. საშუალო სიმძიმის და მომსუბუქო ნიადაგების დამუშავება გაცილებით ადვილია და უფრო ნოყიერი არიან, მძიმე ნიადაგის, დამუშავება ძნელია. მცენარეც ვერ გრძნობს თავს კარგად ასეთ ნიადაგში. საჭიროა მისი გაუმჯობესება.

თიხას ერთი ისეთი თვისება აქვს, რომლის მეოხებით შეიძლება მძიმე თიხნარი ნიადაგი გავაუმჯობესოთ და ხვნა-თესვისათვის უფრო გამოსადეგი გავხადოთ. თიხას რომ სხვა უცხო ნივთიერება გაურიოთ, ის ადვილად ნაწილ-ნაწილ იშლება და თავის ჩვეულებრივ სიმკვრივეს ჰკარგავს. მაშინ ის ადვილი დასამუშავებელი ხდება და ნოყიერებაც ემატება, ესე იგი ჩვენ ის გავაუმჯობესეთ.

### რით შეიძლება მძიმე თიხნარის გაუმჯობესება.

ჩვენ აქ უნდა ვისარგებლოთ თიხის ზემოხსენებულ თვისებით და მასში გაურიოთ ისეთი ნივთიერება, რომელიც მის სიმკვრივეს და ძარღვიანობას გასტეხს, გააფხვიერებს, მის ნაწილებს დააშორებს და ჰაერისათვის უფრო მისადგომს გახდის. ესეთ ნივთიერებად ითვლება: **ქვიშა, ლამი, ნაჭყატი — მიწა ანუ ნაჭაობარ ადგილების მიწა, კირი, მერგელი (თირი ქვაა) და სახუჭი.**

განსაკუთრებით თიხნარის საუკეთესო გამაუმჯობესებელ ნივთიერებად ითვლება ნაჭაობარ ადგილების მიწა, რომელიც თიხნარ ნიადაგს არამცთუ აგებულობას უცვლის, არამედ აძლევს მას მუქ ფერს, რომლის მეოხებით თიხნარი ადვილად თბება, რასაც მცენარის აღმოცენისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

### რა რაოდენობით უნდა იყოს შეტანილი გამაუმჯობესებელი ნივთიერება.

თიხნარ მძიმე ნიადაგში რამდენსაც მეტ ნაჭაობარ მიწას შეიტანთ, მით უკეთესია. საერთოდ კი მიღებულია ერთი კუბიკური არშინი თითო კვადრატულ საჟენზე. ნაჭაობარ ადგილის მიწა ჯერ წინდაწინვე უნდა დაყაროთ პატარა-პატარა გროვებათ, თუ შეიძლება ერთი წლით ადრა მამულში შეტანამდე. ასე გამშრალი ნაჭაობარ მიწას ჯერ თხლად გაფანტავთ და მერე ჩახნავთ ან ჩაბარავთ ზერელედ.

ნაჭაობარ მიწაში ბევრი ორგანიული ნივთიერება ანუ მცენარეთა და

ცხოველთა ნარჩომი ურევია, რაც თიხნარ მიწას ყოველწლივის აკლია. ამგვარად ნაჭაობარ მიწის შეტანით ჩვენ თიხნარ მიწას ბუნებრივ სიმკვრივეს ურღვევთ და იმავე დროს მცენარისათვის საჭირო საზრდოთი ვამდიდრებთ, ესე იგი, ვანოყიერებთ.

ნაჭაობარი მიწის ამოღებისთანავე პირდაპირ თიხნარში შეტანა არ ვარგა. საჭიროა, რომ მას მზემ, ჰაერმა გაუაროს და თუ შეიძლება ყინვამაც დაჰკრას. ის მაშინ უფრო მეტ სარგებლობას მოუტანს და უკეთ გაუმჯობესებს თიხნარ ნიადაგს.

ნაჭაობარი ადგილებიც ჩვენში ბევრია და უნდა ვისარგებლოთ ამ თვით ბუნებისაგან მოცემულ სასუქით. თუ ნაჭაობარ მიწაში ლამიც ბლომად ურევია, ესეც დიდ ღირებულებას აძლევს მას, როგორც მკვრივ, ძარღვიან და წებოიან ნიადაგის გამაუმჯობესებელ მასალას.

მძიმე თიხნარის გასაუმჯობესებელ კარგ მასალად ითვლება აგრეთვე წმინდა ქვიშა და განსაკუთრებით ლამი (სილა). ეს მასალები საუკეთესოდ უტეხავენ თიხნარს ძარღვს და სიმკვრივეს, ამსუბუქებენ მას და მისი დამუშავებაც ადვილდება, მაგრამ არ ანოყიერებენ მას ისე, როგორც ნაჭაობარი მიწა.

განსაკუთრნებით სასარგებლოა ზღვისპირის ლამი (სილა), რომელშიაც ბლომად ურევია ნიჟარების ნაჭუჭები. ნიჟარის ნაჭუჭი უმთავრესად კირისაგან შესდგება და ამიტომ თიხნარ ნიადაგზე ის ყოველთვის კეთილ გავლენას ახდენს. ზღვის ლაქის პირდაპირ დაყრაც არ ვარგა, ისიც ერთხანად წვიმის გავლენის ქვეშ უნდა დარჩეს ზღვის მარილის მოსაცილებლად, რომ ამ მარილმა მცენარეზე მავნე გავლენა არ იქონიოს. რაც შეეხება რაოდენობას, ლამის შეტანა ძმიმე თიხნარში არასოდეს ზედმეტი არ იქნება.

მერგელსაც ისეთივე გავლენა აქვს მძიმე თიხნარზე, როგორც ლამს ანუ სილას.


რაც შეეხება კირს ეს უნდა შეიტანოთ დაახლოებით 1.600 კილო ანუ 100 ფუთი ჰექტარზე. კირი უნდა იყოს ახლად დაშთობილი. ამიტომ უმჯობესია კირი მიიტანოთ ნაკვეთზე დაუშთობელი და დააშთოთ არა წ ლის დახმით, არამედ მიწით. დაუშთობელი კირი დაყარეთ პატარა-პატარა გროვებათ მინდვრათ და წაყარეთ ზედ მიწა, მიწის სინესტისაგან ის დაიშლება და ისე გაფანტეთ თხლად ნიადაგის ზედაპირზე და აურიეთ ნიადაგის ზედა-პირში მსუბუქი ზერელე მოხვნით.


კარგია თიხნარის გასაუმჯობესებლად აგრეთვე ხის ნაცარი, რომელიც ყოველთვის მოიპოება ჩვენს ეზოში. ნაცარი საკმარია 200 კილო ჰექტარზე.

საქონლის სასუქი არამცთუ აუმჯობესებს მძიმე თიხნარის აგებულობას, არამედ ამდიდრებს მას მცენარისათვის საჭირო ნივთიერებებით: აზოტით, ფოსფორით და კალიუმით. მძიმე თიხნარი ნიადაგი, რომ წესიერად განოყიერდეს, საჭიროა დაახლოვებით 40 ათასი კილო ანუ 2500 ფუთი საქონლის სასუქი ჰექტარზე.

ნიადაგის გასაუმჯობესებლად საუკეთესო დრო შემოდგომა-ზამთარია.

აგრ. ნ. ა—ლი.





# მიწის დაცვა ნიალვრებისაგან

დედა-მიწის ზედა ფენას, რომელშიაც მცენარის ფესვებია მოთავსებული, ჩვენ **ნიადაგს** ვეტყვით.

მიწის ამ ზედა ფენაში ახუ ნიადაგში რაც უფრო მეტი სინოყიერეა, მით უფრო დიდი და კარგი მოსავალი მოდის. ამისათვის საჭიროა ვიცოდეთ, თუ საიდან აქვს მიღებული მიწას სინოყიერე და როგორ შეიძლება ამისი დაცვა-შენახვა.

ნიადაგის მთავარი სინოყიერე წარმომდგარია უხსოვარ დროიდან მიწაში ძოყოლილ დამპალ-მცენარეულობის ნაწილებიდან. დამპალ დამიწებული მცენარეულობა ნიადაგს მოშავო ან ს ულიად შავ ფერს აძლევს. ყველაზე მეტი სინოყიერე ჩვენ მიწებს ტყიდან აქვთ მიღებული. იქ, სადაც ახლა ჩვენ სახნავ-სათესი და ბაღ-ვენახები გვაქვს, ძველად ტყე ყოფილა, რომელსაც საუკუნეთა განმავლობაში ყოველწლიურად თავის გაცვივნულ ფოთლებით და გამხმარ-დამპალი ხეებით შეუქნია და გაუპოხიერებია ნიადაგი.

მას შემდეგ კი, რაც ტყეები გაიკაფა და ხვნა-თესვა გაჩაღდა, მიწას სინოყიერე თანდათან აკლდება და უფრო და უფრო ხაკლებ მოსავალს იძლევა. სინოყიერეს ნიადაგს მოსავალი ართმევს. მუდმივი ხვნა-თესვით ძოლილი მიწა საჭიროა ან სხვადასხვაგვარი სასუქით გავაპატიოთ, ან რამდენიმე წლით დავასვენოთ ან ზედ ტყე გავაშ ნოთ და დიდი ხნის შემდეგ ისევ საყანედ გადავაქციოთ.

მაგრამ მოსავალზე მეტ სინოყიერეს ნიადაგს წვიმისა და თოვლის წყალი ართმევს, რომელიც მას რეცხავს და აქცევს. ამისათვის ყველაზე უწინ ჩვენ უნდა ვიზრუნოთ, რომ მიწა ჩამორეცხა-დანგრევისაგან დავიცვათ.

საქართველოს სამუშაო მიწების უდიდესი ნაწილი მთის ფერდობ-კალთებზე და დაქანებულ ადგილებზეა. წვიმის და თოვლის დნობის დროს ასუბუქი, ნოყიერი და ფხვიერი ნიადაგის ზედა-ფენი ადვილად ირეცხება, ნიადაგი იქცევა და წყალს შორს მიაქვს. ნიალვრები კი სულ ერთიან აქცევენ ფერდობებს და ქვითა და რიყით ავსებენ ვაკე-ჭალებს.

ბრუნებისაგან ამ ნგრევა-ქცევას ჩვენ გულ-ხელ დაკრეფილი არ უნდა შევყურებდეთ. მიწა-ნიადაგის წყლისაგან დასაცავად ჩვენ შემდეგ საშუალებას უნდა მივმართოთ: დიდი გრძელი ფერდობები რომ წყალმა არ ჩამორეცხოს, საჭიროა ის ზოლებად დავყოთ. ორ-ორი, სამ-სამი საჟენის სიგანეზე ფერდობის გარდი-გარდმო, ალაგ-ალაგ ხეები და ბუჩქები ახლო ახლოს დავრგათ და ტყედ გაუშვათ. ამ ვიწრო ზოლებ და ზოლებ შუა კი თხუთმეტი — ოცი საჟენის სიგანის სახნავი მიწა უნდა გაუშვათ და მოსავალი მოვიყვანოთ.

გატყეებულ ვიწრო ზოლის გასწვრივ ორივე მხრიდან ჩრდილის გამო კიდევ თითო-ოროლა საჟენის სიგანის ბალახ-მინდვრის ზოლი გაჩნდება, რომელიც სათიბად გამოდგება. ამ სახით დიდ გრძელ ფერდობზე ჩვენ გვექნება რამდენიმე გატყეებული მიწის ზოლი და რამდენიმე მინ-

დორ-ათიბის და სახნავ-სათესი მიწა კვეთი. ამგვარად ძეურნე გლეხს შეუძლია ჰქონდეს ერთ ფერდობზე ტყე, სათიბი და სახნავი ადგილები.

თხუთმეტი—ოცი საჟენის სიგანის სახნავ ფერდობის ნაკვეთზე ჩამოწვიმული და გამდხარი წყალი, ფერდობიდან ვერსად წავა, იქვე დარჩება და მიწასაც არ გარეცხავს. თუ დიდმა წვიმამ მაინც ჩამორეცხა ცოტაოდენი, მას გატყეებული ზოლი დააკავებს და სამუდამოდ არ დაიღუპება.

როცა სახნავი ნაკვეთი მოსავალისაგან თანდათან გამოიფიტება, მაშინ სათიბ ტყით განოყიერებული მიწა შეიძლება სახნავად გადავაქციოთ, სახნავ ნაკვეთზე კი ტყე და ბალახი დავთესოთ და გავაშენოთ. ასეთი ხერხით ჩვენ მუდამ მოსავლიანი მიწა გვექნება და ფერდობი აღარ გახრიოკდება.

ის, რაც ახლა ჩვენში ხდება, ყოვლად დაუშვებელია. ხშირად ასი-ორასი საჟენის სიგრძის ფერდობზე თავიდან ბოლომდე მარტო სახნავებია, წყალს არაფერი იჭერს, მიწა ირეცხება, ღიშვლდება, იღარება და რამდენიმე წლის შემდეგ სრულიად უსარგებლო ხდება. ძიწის ჩამორეცხვის და ღორღ-ღილეების გაჩენის გამო მოსახნავად მიდგომაც შეუძლებელი ხდება.

პატარა—მოკლე ფერდობის ნიადაგის დასაცავად ტყის ზოლებათ გაშენების მაგიერ, საკმაოა ფერდობის ბოლოზე და ერთ-ორგან გარდიგარდმო ფერდობის შუაზე ქვის ან წნელ-სარის დაბალი ღობე-ჯებირის გაკეთება, რომელიც ნიადაგს დაქცევა-ჩამორეცხვისაგან დაიცავს.


იმ ფერდობზე კი, სადაც უკვე ხევ-ხუვებია გაჩენილი, საჭიროა ხევის ძირში და გვერდებზე ტყის ნარგავების გაშენება ან რამდენიმე ადგილას ახლო-ახლო ხევის გასწვრივ გარდი-გარდმო ქვისა და წნელის ჯებირების ამოშენება ნიაღვრის სიჩქარის და ძალის შესასუსტებლად და წამოღებული მიწის ნალექის გასაჩერებლად.

მეტყეე **გ. ბრეგვაძე.**

## ვენახის გაშენება ნამყენი ვაზით

ვისაც უნდა სამკვიდრო ვენახი გააშენოს, ესე იგი, ისეთი ვენახი, რომელსაც ფილოქსერა აღარ დააზიანებს, და აღარ მოსპობს, უსათუოდ ნამყენი ვაზი უნდა ჩაყაროს. (სურ. 1). ვინც ასე არ მოიქცევა და ისევ ძველებურად დაიწყებს ვენახის შენებას დაუმყნელ ვაზით, ის თავის თავის მტერია, ბოლოს და ბოლოს მაინც მოისპობა, ხელახლად მოუნდება ვენახის გაშენება და ფული და შრომა მუქთად დაეკარგება.

ერთხანათ ბევრი ფიქრობდა, რომ შეიძლება დაუმყნობელი დაირგოს ჩინური ჯიშის ვაზი ქართლში, რქაწითელი კახეთი და მაღლარი იმერეთში, რადგან ეს ვაზის ჯიშები სხვა ჩვენ ვაზის ჯიშებზე უფრო გამძლეა ფილოქსერის წინააღმდეგ, მაგრამ ეს ჯიშები ადრე თუ გვიან ხმებიან ფილოქსერისაგან და მათი გამძლეობის მომხრე თითქმის აღარავინ არ არის. თუმცა აქა-იქ დღეს-



სურ. 1.

საც შეხვდებით ზოგიერთ მევენახეს, რომელიც დაუმყნობელ ვაზს

ებშენებს და თავს მართლულობს ნამკენი ვაზის სიძვირით ან მისი უშოვრობით.

ნამყენი ვაზის ფასი ცალზე 12 კაპ. უკვე დადასტურებულია მთავრობისაგან და ეს ფასი მხოლოდ თვითღირებულებას უდრის. რადგან მეტი წილი ამერიკული ვაზის სანერგეებისა საქართველოში სახელმწიფო ან კოოპერატიულია, ამისათვის ეს სანერგეები აწარმოებენ საქმეს არა ცალკეებისთვის, არამედ მევენახეების ნამყენი ვაზით დასაკმაყოფილებლად.

მართალია, სამკვიდრო ვენახის გაშენება მეტი ღირს, ვიდრე ჩვეულებრივი ვენახის გაკეთება, მაგრამ სამაგიეროდ სარგებლობა ასეთ ვენახისაგან უფრო მეტია. ეხლანდელ ფასებზე, რომ ვიანგარიშოთ ფულად, ერთი დღიური ვენახის ნიადაგის მარტო გადაბრუნება 30 კაპ. ანგარიშით. კვად. საყენზე, დაჯდება **360 მან.**, (1200×30), დამყნობილი ვაზის ღირებულება **12 კაპ.** ანგარიშით ცალი სულ **360 მან.**, (3000×12); ფესვების შეკვეცა, თიხა ნარევ პატივში ამოვლება, ორმოების გაკეთება, დარგვა საშუალოდ 2 კაპ. თითო ძირზე — 60 მან. და სულ კი 780 მან., რომ არ ვიანგარიშოთ დანარჩენი შრომის ფასი ე. ი. თოხნა, გასხვლა, სარის შედგმა, მისი მომარაგება, შეკრობვა და სხვა წვრილმანი ხარჯები, რაც საერთოდ შეადგენს ზემოალნიშნულ ხარჯთან ერთად 1000 მანეთამდე დღიურზე — საკუთარი შრომაც რომ ჩავაგდოთ ანგარიშში.

### 1. ნიადაგის დამზადება ნამყენი ვაზისათვის

ნამყენი ვაზის ვენახის გასაშენებლად ნიადაგის დამზადება უპირველესი საქმეა. ნიადაგი უნდა დამზადდეს უსათუოდ მიწის გადაბრუნებით ანუ ეგრეთწოდებულ უცხო ენაზე პლანტაჟით არა ნაკლები 3 ჩარექის სიღრმეზე. რაც უფრო ადრე შემოდგომაზე დაიწყება ნიადაგის გადაბრუნება ნამყენისათვის, ის უფრო სჯობია. ვამყენისათვის ის უფრო სჯობია. მეტადრე ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ურწყავ ადგილებისათვის და ჩვენში კი მომეტებულად ურწყავ ადგილებშია გაშენებული საუკეთესო ვენახები.

გაზაფხულზე დასარგავი ვაზისათვის ყველაზე კარგი არის შემოღგომაზე გადაბრუნებული ნიადაგი, ჰასზე ნაკლებია სამთარში გადაბრუნებული და განსაკუთრებით მდარია გაზაფხულზე გაკეთებული და ჩვენც



სურ. 2.



სურ. 3.


ამას ვერავის ურჩევთ, რადგან გვიან გადაბრუნებულ ნიადაგზე ვაზი ხშირათ სცდება. ამგვარად თუ ნიადაგის დამზადება დაგვიანებულია, უმჯობესია ვენახის გაშენება შემდეგ წლისათვის გადასდოთ და ამისთვის თავის დროზე გადაბრუნდეს მიწა.

### 2. ნამყენი ვაზის შერჩევა

საქართველოს ყველა მევენახეობის რაიონებს უხსოვარი დროიდან შემუშავებული აქვთ თავის საკუთარი ვაზის ჯიშები და ამ ჯიშების შეცვლა სხვა ვაზის ჯიშით შეიძლება საზარალო გახდეს, ამისათვის მინამ ადგილობრივი ცდებით არ იქნება დამტკიცებული ამა თუ იმ ჯიშის უპირატესობა ადგილობრივთან შედარებით, დაჩქარებით მათი შეცვლა შესაძლოა ძლიერ საზარალო გახდეს. მაგალითად: რაჭაში მშვენივრად ხარობს და იძლევა საუკეთესო

ღვინოს ალექსანდროულის ჯიშის ვაზი. ერთმა რაჭველმა წაიღო საჯეჯახოდან მგალობლიშვილის ვაზი, (ჯიშია) დაირგა ის, მაგრამ შედეგი სამწუხარო მოჰყვა: მთელ რიგ წლებში მგალობლიშვილი არ დამწიფდა, და ბოლოს სულ ამოყარა ეს ნამყენი.

გორის მაზრაში ზოგიერთმა გლეხმა მოიტანა ზემო - იმერეთიდან ციცქას ვაზი, მაგრამ იგი არ დამწიფდა, მაშასადამე ჩვენ ადგილობრივ



სურ. № 4.

ვაზებს უნდა მივმართოთ და ვეცადოთ მათ გამრავლებას და გაუმჯობესობას ეგრეთწოდებული სელექციით (გონიერული შერჩევით).

რაც შეეხება საძირის შერჩევას ეს ახალი საქმეა და ამისთვის აქ ყოველ კერძო შემთხვევაში ვენახის ნიადაგის გამოკვლევაა საჭირო, რადგან საძირეთ აღებული ყველა ამერიკული ვაზი ერთგვარათ არ ეგუება ნიადაგს. არის ჯიში, რომელიც, მაგალითად, კირიან ადგილებზე კარგათ იზრდება. ესეთია ბერლანდერი, სხვა ჯიშები კი ყველა კარგ ღირსებებთან ერთად კირიან ნიადაგს ვერ იტანენ და ჯერ ყვითლდებიან და შემდეგ სულ მალე ისპობიან. მაშასადამე ყველა ახალი სავენახე ადგილის ნიადაგი უსათუოდ წინასწარ უნდა გაისინჯოს ადგილობრივ აგრონომის მიერ ან მევენახეობის საცდელ სადგურს გაეგზავნოს ნიადაგის ეიმუში და მხოლოდ მაშინ შეიძლება საძირის არჩევა, რომ შეცდომა არ იყოს დაშვებული ამ საშვილიშვილო საქმეში.

### ვ. დარგვა და მოვლა ნამყენი ვაზისა

როცა დაიგეგმება გადაბრუნებული სავენახე მიწა, უნდა დავიწყოთ დარგვა ნამყენისა. ნამყენი შეიძლება სამგვარი გვქონდეს: დაფესვიანებული, ერთ წელიწადს სკოლაში გატარებული (სურ. 1)., ან რიხტერის სათბურიდან ყუთში შეხორცებულ გაღვივებული (სურ. 2.), ან ახლად ნამყნობი, ჯერ შეუხორცებელი და გაუღვივებელი (სურ. 3.).

პირველ შემთხვევაში რგავენ თითო ძირს მუდმივ სავენახე ადგილზე, მეორე და მესამე შემთხვევაში კი ორ-ორ ცალს, რადგან ხშირად ნამყენი სცდება და თუ ორივემ იხეირა, მაშინ ერთს ამოიღებენ და გადარგავენ იმ ადგილზე, სადაც არც ერთმა არ იხეირა. დასარგავათ ყველაზე საუკეთესო ერთ წლიანი დაფესვიანებული ნამყენია, მას მოსდევს ღირსებით ნაკლები გაღვივებული ყუთში, ხავსში ჩადგმული სათბურში გამოყვანილი.

ორი უკანასკნელის შემთხვევისათვის ადრე დამზადებული პლანტაჟი უნდა ჰქონდეს მევენახეს, რომ კარგათ იხეიროს ნამყენმა. დარგვა უნდა დაიწყოს მარტის პირველიდან აპრილის შუა რიცხვებამდე და ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, **რომ ადრე გაზაფხულის ნარგავი ყოველთვის სჯობნის გვიან ნარგავს.**

თუ როგორ უნდა დაირგოს ან როგორ უნდა წაეყაროს თავზე მიწა ნამყენს ამას სურათი მეოთხე ცხადლივ გვიჩვენებს.

მანძილი ერთი ნამყენიდან მეორემდის უნდა იყოს საშუალოთ არა ნაკლები 2 არშინისა.

აგრ. ვ. ბიბილაშვილი.

# რა და რა ღვინის დაუნება შეიძლება საქართველოში

საქართველო მევენახეობის და მეღვინეობის ქვეყანაა; ათი-ათასობით გლეხის ოჯახი ცხოვრობს და ფარავს ხარჯებს ღვინის შემოსავლით.

ვაზის ავადმყოფობის — ნაცრის და ჭრაქის გაჩენამდის და ფილოქსერის გავრცელებამდის ვენახების სივრცე ჩვენში უდრიდა 55 — 65 ათას ჰექტარს, ახლა კი 40 ათასი ჰექტარი ვენახი თუ იქნება. მაგრამ ვენახების აღდგენა ძლიერდება და ვენახების სივრცე მატულობს. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ყველა ქართული ვაზი ძლიერ მოსავლიანია, წლიურათ ჩვენში ღვინის მოსავალი 11—12 მილიონ ვედრას უნდა უდრიდეს. ჰექტარმა ვენახმა უნდა მოგვცეს არა ნაკლებ 275 300 ვედრა ღვინისა; და ეს ასეც მოხდება, როცა ჩვენში ვენახებს ყველა შესაფერისად დააბუშავებს და მოუვლის.

ეახლა ვენახებიდან მოსავალს იმის ნახევარსაც ვერ ვიღებთ, რამდენის მიღებაც შეიძლება; მაგრამ ჩვენი პატარა ქვეყნისათვის 6—7 მილიონი ვედრა ღვინო, რაც ყოველ წლიურად მოგვდის, მნიშვნელოვან დოვლათს შეადგენს.

ღვინო ბევრნაირია: არის სუფრის უტკბო ანუ როგორც ფრანგები ეძახიან მშრალი (ხმელი) ღვინო, არის ტკბილი და მაგარი ღვინო, შამპანიური, კონიაკი და სხ. ეს არის უმთავრესი ღვინოების დაჯგუფება, ღვინის სხვადასხვა ტიპები. ყოველ ტიპის ღვინოს თავის მხრივ ბევრნაირი სხვადასხვაობა შეიძლება ჰქონდეს.

რომელიმე ტიპის ღვინის დაყენება დამოკიდებულია ნიადაგზე, ჰავაზე, ვაზის ჯიშზე, ვენახის მოვლაზე და სხვა მრავალ პირობებზე, მაგრამ ყველა პირობებში უპირატესობა ვაზის ჯიშს ეკუთვნის.

სხვადასხვა მევენახეობის და მეღინეობის მხარეს ადგილობრივი ქებული ვაზის ჯიში აქვს, რომლისაგანაც დგება ესა თუ ის სასახელო ღვინო. მაგალითად: **კახეთში** — სახელოვან თავ ღვინოს იძლევა საფერავი, რქა-წითელი, მწვანე; **იმერეთში** — ცოცქა, ცოლიკოური, კრახუნა; **რაჭაში** — ალექსანდროული და სხ. ასეა გარეშე ქვეყნებშიაც: საფრანგეთში — სოტერნში საქვეყნოთ ცხობილ ღვინოს იძლევა სემილიონი, სოვინიონი და მუსკადელი; ბურგუნდიაში და შამპანიაში — პინო; მედოკში — კაბერნე; კონიაკში — ფოლ-ბლანში; გერმანიაში რეინის ცნობილ ღვინოს იძლევა რისლინგი; პორტუგალიაში განთქმულ პოპორტოს იძლევა ტურიგა და გუვეიო; ისპანიაში განთქმულ ხერესს იძლევა პედრო; ვენგრიაში განთქმულ ტკბილ ღვინოს „ტოკაი"-ს იძლევა ფურმინი და სხ.

ასე რომ კახეთში, მაგალითად, ადგილობრივი ვაზის ჯიშის მაგიერ რომ სხვა ვაზი დაიოგას, კახეთის ღვინოს შეეცვლება ხარისხი და დაკარგავს სახელს, ასე მოხდება სხვა ცნობილ ღვინოების ალაგებშიაც. ამისათვის ყოველი მხარე უფრთხილდება ადგილობრივი ვაზის ჯიშის შენახვას. ადგილობრივი ვაზის ჯიში სხვა ვაზის ჯიშით ადვილათ არ შეიცვლება, რადგან სახელოვან ღვინოს თავისი ხარისხი და თავისებურობა ენახება თავისი ვაზით.

## ნამყენი ვაზი ღვინის ხარისხს არ ადაბლებს.

რაც შეეხება ნამყენ ვაზს, ე. ი. აქვს თუ არა სამყნობ საძირეს გავლენა ღვინის ხარისხზე, დამტკიცებულია, რომ ნამყენი ვაზი ღვინის ხარისხს არ ადაბლებს; ეს დამტკიცებულია მრავალნაირი გამოკვლევებით და ღვინოების შედარებით; ამას ადასტურებს თითქმის ყველა მეცნიერი და გამოცდილი მეღვინე; მხოლოდ ორი სამი ჯიუტი თუ იცავს საწინააღმდეგოს.

პირიქით, მყნობით სხვადასხვა ამერიკული ვაზის საძირეები თავისებურათ აუმჯობესებენ ყურძნის და ღვი-

ნის ხარისხს; ბოლო დროს გაიოირკვა, რომ ყველა სამყნობ საძირეთა შორის უკეთესი გავლენა ღვინის ხარისხზე აქვს **ბერლანდიერს და რიპარია-ბერლანდიერის** იბრიდებს; ამისათვის ბერლანდიერზე და რიპარია-ბერლანდიერზე დამყნობილი ვაზი ყველგან უფრო ვრცელდება.

საქართველოში ბევრია ისეთი ალაგები, სადაც ნიადაგის და ჰავის პირობები საუკეთესოა უმაღლესი ჯიშის ვაზის გასამენ ბლათ და მოსავლის ხარისხისათვის სუფრის ღვინის მისაღებათ სხვა ვაზის ჯიშებია საჭირო და მაგარი, ტკბილი, შამპანიური ღვინოებს და კონიაკის მისაღებათ სულ სხვა; ერთსა და იმავე ვაზისაგან ძნელათ დადგება საუკეთესო სუფრის ღვინო, მაგარი ღვინო, ტკბილი ღვინო, შამპანიური და კონიაკი; ყველა ტიპის ღვინის დასაყენებლათ საჭიროა შესაფერისი ვაზი.

საქართველო უმთავრესად სუფრის ღვინოების ქვეყანაა; აქ უკვე დგება საუკეთესო სუფრის ღვინოები კახეთსა და იმერეთში, რომლებიც ბაზარს ძლიერ მოსწონს და სახელი განთქმული აქვთ. ამ მხრივ სხვადასხვა რაიონებს ჩვენში კიდევ მეტათ შეუძლიათ გაითქვან სახელი ღვინოებით.

კახეთის სუფრის წითელი ღვინოები ადვილათ შეიძლება შეედაროს ვანთქმულ ბორდოს და ბურგუნდიის წითელ ღვინოებს; აგრეთვე იმერული თეთრი ღვინოები არ ჩამოუვარდებიან ცნობილ **ბაბლის** ღვინოებს; რეინის ტიპის ღვინოებს ადვილათ შეიძლება დაუახლოვდენ მომავალში იმერული ღვინოები. ეს დამოკიდებულია ღვინის დაყენების წესზე, რაც ჩვენში ყოველწლიურათ უმჯობესდება.

სუფრის ღვინოებით ჩვენი ქვეყანა განთქმულია და ამ მხრივ კიდევ ბევრი მიღწევები მოელის სხვადასხვა კუთხეს, მაგრამ ჩვენში ბუნების ისეთი სხვადასხვაობაა და სრკეთე ეძლევა ვაზის განვითარებას, რომ სუფრის ტიპის ღვინოებს გარდა ბუნებრივი პირობები ხელს უწყობენ მაგარი, ტკბილი, შამპანიური ღვინოების და კონიაკის დაყენებასაც.

## რა პირობებია საჭირო თავ-ღვინოების დასაყენებლად.

ეს საკითხი რომ უფრო მარტივათ გასაგები იყოს, საჭიროა ვიცოდეთ როგორი პირობებია საჭირო ტკბილი, მაგარი და შამპანიური ღვინოების და კონიაკის დასაყენებლათ

ძლიერ მოკლეთ, ორი სიტყვით, რომ ვსთქვათ, ტკბილი და მაგარი ღვინოები ისეთ ალაგებში დგება, სადაც სითბო ბევრი იცის, ზაფხული და შემოდგომა მშრალი და ცხელია, და ნიადაგი მაგარი და ქვიანია.

შამპანიური ღვინო დგება ოდნავ ნოტიო ალაგებში, სადაც კირნარცარცოვანი ნიადაგებია. იგივე ითქმის კონიაკის მისაღებ ალაგებზე.

ამას გარდა, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, ყველანაირი ღვინის მისაღებათ საჭიროა შესაფერისი ჯიშის ვაზი.

კახეთში კარდანახის რაიონი ნიადაგით, ცხელი და მშრალი ჰავით ზედ გამოჭრილია მაგარი და ტკბილი ღვინოების დასაყენებლათ; აქ შემოდგომა გრძელი და მშრალი იცის; ყურძენი არ ლპება, ყურძნის ტკბილი 15%-დის სიმაგრეს იძლევა; ყურძნის შეჭკნობა ვაზზე კარგად ხდება; ადგილობრივი ვაზი — რქა-წითელიც — კარგია მაგარი ღვინის მისაღებათ, ძაგრამ შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ, თუ მოვისურვებთ გაშენებას ისპანიის და პორტუგალიის ან ვენგრიის ვაზის ჯიშებისას, უსათუოთ იხეირებენ აქაურ მაგარ, ქვიან, რიყიან მიწებზე და მაღალხარისხის ნაყოფსაც მოგვცემენ.

იგივე ითქმის ბორჩალოს ზოგ რაიონებზე; მაგალითად, გეურარხში მუსკატი მეტათ მწიფდება და უმაღლესი ხარისხის ტკბილს იძლევა. ასე რომ ტკბილი და მაგარი ღვინოების დასაყენებელი რაიონები საქართველოში ისეთებია, სადაც აღნიშნული ტიპის ღვინოები უმაღლესი ხარისხისა დაყენდეს. მუშაობას ამ მიმარ-

თულებით აწარმოებს მიწათმოქმედების კომისარიატის სახალხო მამულების ტრესტი და შედეგებიც საუკეთესოა მიღებული, ეს მუშაობა კიდევ უფრო ვითარდება და როცა მასსიური ხასიათი მიეცემა, მაშინ, მაგარი და ტკბილი ღვინოების წარმოება ჩვენს ქვეყანას დიდ ეკონომიურ შედეგებს მისცემს.

### შამპანიურის და კონიაკის დაყენება ჩვენში შეიძლება.

შამპანიური ტიპის ღვინის და კონიაკის დასაყენებლათ საქართველოში კიდევ უკეთესი პირობებია სხვადასხვა რაიონებში: ზემო იმერეთში, მდინარე ჩხირი-მელას გარშემო ალაგები თავისი მჩატე კირნარი ნიადაგებით და ოდნავ დაქანებულ ფერდობებით ზედ გამოჩრილია შამპანიური ვაზის—**პინოს** გასაშენებლათ; ამ მუშაობას ვაქევის სახალხო მამული წარმატებით ეწევა და შედეგები ძლიერ კარგია. ვაქევის მამულში მოდის ძრიელ მაღალი ხარისხის ღვინო შამპანიურათ დასაყენებლათ. როცა სახალხო მამულის მაგალითს გლეხობა წაბაძავს და შესაფერისი ვაზი ბლომათ გაშენდება, არ შეიძლება იმერულმა შამპანიურმა სახელი არ გაითქვას ბაზარზე.


ზემო იმერეთს გარდა არის ქართლში ფართე ალაგები კირნარ-ცარცოვანი მიწებით და შესაფერისი ჰავით ახალქალაქის და მეჯვრის-ხევის რაიონებში. ამ ალაგებს შამპანიური ღვინის და კონიაკის დასაყენებლათ ძრიელ აქებდა ცნობილი მეცნიერი დ. პროფესორი განსვენებული ვ. პეტრიაშვილი. აღნიშნულ ალაგებში ნიადაგის და ჰავის მიხედვით დადგება საუკეთესო შამპარიური ღვინო და კონიაკი.

დღეს-დღეობით ქაროლი თავისი ვენახებით და ღვინოებით კახეთზე და იმერეთზე უკან დგას, მაგრამ ის მომავალში საუკეთესო შამპანიურის და კონიაკის წარმოების მხარეთ გარდიქცევა. ქართლში, სადაც კი რიგიანათ გაშენებული და მოვლილი ვენახებია, კარგი სუფრის ღვინო მოდის; სუფრის ღვინოებითაც ქართლი უსათუოთ თავს ისახელებს. როცა იქ ღვინის დაყენების ტეხნიკა გაუმჯობესდება.

ასე, რომ საქართველოში ნიადაგის და ჰავის პირობები სხვადასხვა ალაგებში ისეთია, რომ სრული შესაძლებლობაა სუფრის თავ ღვინოებს გარდა მაღალ ხარისხის მაგარი, ტკბილ-შამპანური ღვინოები და კონიაკი დავაყენოთ. ყველა რაიონმა ნიადაგის და ჰავის მიხედვით უნდა მისცეს მიმართულება ადგილობრივ მეღვინეობას; მაშინ ჩვენი მეღვინეობა კიდევ მეტად გააუმჯობესებს ეკონომიურათ ჩვენი ხალხის ცხოვრებას.

კოტე ბერეკაშვილი.





# მაკე ძროხის კვება და მოვლა

დაგრილებიდან ხბოს მოგებამდე ძროხას სჭირდება ცხრა თვე. ამ ხნის განმავლობაში ძროხის ძუცელში ხბო თანდათან ბრწდება და წველაც დღითი დღე კლებულობს. ამის გამო პატრონს უნდა მიაქციოს ურადღება მის კვებას და მოუაროს ისე, რომ ხბო ბოლომდე ვითარდებოდეს და ამასთანავე ძროხა იძლეოდეს რძეს. სანამ ხბოს მოგებამდე ორი თვე ან თვე ნახევარი დარჩება.

მაკე ძროხა უნდა ებას სუფთა, ნათელ და თბილ ბოსელში. ბოსელში ჰაერს უნდა იყოს წმინდა, ბოსლის იატაკი, ფიცრის ან მოტკეპნილი თიხარი აყალო ძირისა. იატაკის ზედაპირი საჭიროა ოდნავ დაქანებული, რომ მასზე სისველე არ ჩერდებოდეს. თუ ოდახში ფუჩეჩი, ტყის ნოშრომი გამოუსადეგარი ჩალა ან ოპილეფა შეიძლება ეს ძასალა ძროხას დაუყაროთ ქვემო საგებად ყოველდღე 3—4 ირვანქის რაოდენობით. ტალახი და ნეხვი ძროხას უნდა მოაცილოთ ყოველდღე. შემხძარი ნეხვის გასაცლელად ხმარობენ ურაგარის ჩოთს. რკინის საურველის ხმარება დაუშვებელია, რადგან ის აწუხებს ძროხას ჩვეულ რკინას და წიხლის სროლას.

ზუხულში მეტად სასარგებლოა ძროხა კვირაში ერთხელ მაინც აბანოთ მთლად.

მაკე ძროხას ყურადღება უნდა მიაქციოთ გარედ გამოშვების დროს, რომ მას საქონელმა არ ურჭინოს და არ გაბერ დეს, გახსაკუთრებით უკანასკნელი 2—3 თვის განმავლობაში.

მაკე ძროხას ეძლევა განსაკუთრებით შერჩეული საკვები. თივა ან ჩალა უნდა იყოს კარგად მოწეული და შენახული. **აშმორებული და დაობებული თივა-ჩალა იწვევს მუცლის ტკივილს და სიბერწეს.** გარდა რძის ძომკვები საკვებისა, მაკე ძროხას უნდა მიეცეს დღეში დაახლოებით ორი გირვანქა ხოყიერი (ყუათიანი) საკვები. **ხოყიერი საკვები არის სიმინდის ან ქერის რძეში, კოპტოხნი და პურის ჭატე.** ეს დამატებითი საკვები საჭიროა, რომ ძროხამ გამომუშაოს სხეულში ხბოსთვის სამყოფი საკვები მასალა.

ასეთ კვებისა და მოვლის დროს ძროხის გვამში ხბო მეტი სისწრაფით ვითარდება და ჯანძრთელი გამოდის. **შემჩნეულია, რომ კარგად ნაკვები ძროხის ხბო უფრო ადრე იბადება, ვიდრე ცუდად ნაკვები ძროხისა.**

როცა ხბოს მოგების დრო მოახლოვდება, ესე იგი ოგებამდე დარჩა კიდევ ორი თვე, საჭიროა შეწყდეს ძროხის წველა.

ხბოს ყოლის წინ ძროხას რძე თანდათან უგროვდება ჯიქანში. ამ გარემოებას ყურადღება უნდა მიაქციოს პატრონმა და **შეამჩნევს თუ არა, რომ ჯიქანი რძით ივსება, მაშინათვე საჭიროა ჩამოიწველოს**

**ძროხა, მიუხედავად იმისა, რომ ხბო ჯერ კიდევ არ დაბადებულა.** თუ ჯიქანი არ ჩამოიწველა, იქ მდგომი რძე აიშრება, შედედდება და ჯიქანს (ცურს) ანთებას გაუჩენს. ამისაგან შეიძლება ძროხა სრულიად გაფუჭდეს.

ხბოს მოგების შემდეგ პირველ კვირაში ძროხას უნდა მიეცეს მჩატე საკვები (კარგი თივა და ჩალა), ორი სამი გირვანქა ნოყიერი საკვები, ღერღილის ანუ როშის და ქატოს დამატებით. მეორე კვირიდან კი, როცა ძროხის სხეული უკვე გამაგრებულია, მის დღიურ ულუფას მიუმატეთ თივა, ჩალა და განსაკუთრებით ნოყიერი საკვები, რძის მომატების მიზნით.

ამ წესების ასრულება შეაძლებინებს ძროხას მოგვცეს ბლომად რძე და ჯანსაღი შთამომავლობა.

## ხბოს მოვლა და კვება.

ჩვენში არ არის შემოღებული ახლად დაბადებული ხბოს დედისაგან მაშინათვე მოშორება და გახმარტოებით კვება. ჩვენ აქ ვისაუბრებთ ისეთ ხბოს კვების შესახებ, რომელიც ძუძუს სწოვს.

ასეთი ახლად დაბადებული ხბო უთუოდ უნდა სწოვდეს თავისივე დედის ძუძუს. პირველი სამი-ოთხი დღის განმავლობაში ახალ ხბოიანი ძროხის რძე (ხსენი) ყოველთვის ფაღარათს იწვევს. ხსენი დიდად საჭიროა ახლად დაბადებულ ხბოსთვის, რომელსაც კუჭში დაგროვილი აქვს რამოდენიმე თვის განმავლობაში ნეხვი. ხსენი ხსნის ხბოს მუცელში და ანთავისუფლებს მას ამ ნაკელისგან. შემდეგ საჭიროა ხბო იმდენ რძეს სწოვდეს, რამდენიც ხბოსთვის აუცილებლათ საჭიროა. დღეში ხბოს რძე ესაჭიროება მისი ცოცხალი წონის ერთი მეხუთედის რაოდენობისა. ჩვენებური ძროხის ხბო პირველი ორი კვირის განმავლობაში დაახლოებით იწონის 12 კილოს (30 გარვანქას), ამ გვარად მას უნდა მიეცეს დღეში ორ-ნახევარი კილო ანუ 6 გირვანქა რძე

მაგრამ არის ისეთი შემთხვევები, როცა ძროხა ძლიერ ცოტა რძეს იწველის და რასაც იწველის, იმასაც პატრონი ხარჯავს, ხბოს კი არას უტოვებს ცურში. პატრონმა უნდა გაიგოს მოწველილი რძის რაოდენობა რამოდენიმეჯერ აწონით და ხბოს ცოცხალი წონა და მისდაგვარად ყოველთვის საკმაო რძე დაუტოვოს ხბოს ცურში.

ერთი თვის შემდეგ ხბოს დამატებით უნდა მისცეთ დღეში ოთხასი გრამი (ერთი გირვანქა) ან ექვსასი გრამი (გირვანქა ნახევარი) ცხელ წყალში გახსნილი შვრიის ქერის ან სიმინდის ფქვილი. ამასთან ერთად მასვე ეძლევა კარგი ხარისის თივა, რამდენიც უნდა.

თუ ახლო-მახლო რძის ქარხანა არის და სეპარატორი მუშაობს, ამავე დროიდან ხბოს უნდა ეძლეოდეს დამატებით ნაღებ მოხდილი რძე.

ხბოსთვის ძლიერ სასარგებლოა მწვანე ბალახი და ამიტომ საჭიროა საძოვარზედაც გაყვანა.

ასე დაკვირვებით აღზრდილი ხბო ყოჩაღად გამოიყურება და ჯამოსადეგია მომავალში საჯიშეთ და სანაშენოდ.

თუ ხბოების აღზრდას ყურადღება არ მიექცა, ხეირიანი არც ხარ და არც ძროხა გვეღირსება.

მესაქონლე სპეციალისტი
**მ. ციმაკურიძე.**



# ᲦᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲐ-ᲙᲕᲔᲑᲐ


მეღორეობა ჩვენში თანდათან ვითარდება, როგორც რიცხობრივ, ისე თვისებით. ღორის ჯიშის გასაუმჯობესებლად გვაქვს ჯიშიან ინგლისურ იორკშირის ღორების სამომშენებლოები, რომელ ზედაც საგრძნობი თანხები იხარჯება, როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივი თანხებიდან. მაგრამ ეს შრომა და ხარჯები სრულიად უსარგებლოდ ჩაივლის, თუ გლეხობამ აო გააუმჯობესა ღორის მოვლისა და კვების წესები.

კარგი ჯიშის ღორი ცხოლოდ მაშინ იზრდება და სუქდება, როცა მას კარგი მოვლა და კვება აქვს. ცუდი ღორის კვების და მოვლის წესების გაუმჯობესებას.

რაში მდგომარეობს ღორის წესიერი კვება და მოვლა?

## ᲙᲔᲠᲐᲢᲘᲡ (ᲢᲐᲮᲘ) ᲛᲝᲕᲚᲐ ᲓᲐ ᲙᲕᲔᲑᲐ

კერატისთვის საჭიროა სრული, ნათელი, მშრალი და სუფთა საღორე. საღორის გვერდით კეთდება ცალკე ეზო, რომელშიაც კერატს უშვებენ ყოველ დღე სასეირნოთ. კერატი თუ ავია, მას ეშვებს ახერხავენ, რომ დედა ღორი დაგრილების დროს არ დაჩეხოს.



ორი ძმა ბურვაკი—ერთი კარგად ნაკვები, მეორე კი ცუდად

კვებითა და მოვლით ის თანდათან კლებულობს და რამოდენიმე ხნის შემდეგ ხშირად სრულიად იღუპება. ტყუილად არაა ნათქვამი ანდაზა: **„ღორის ჯიში ჰამაზე ჰკიდიაო“**. ამის დამამტკიცებელი მაგალითი ბევრი გვაქვს: ერთ ოჯახში ერთად დაბადებული ორ გოჭიდან ერთი მათგანი, კვებისა და მოვლის მხრივ, კარგ პირობებში ჩააყენეს, ხოლო მეორეს კი ნაკლებ კვებავდენ. ორი-სამი თვის შემდეგ პირველი მათგანი ორჯერ მეტი გაიზარდა, ვიდრე ცუდად ნაკვები – მეორე გოჭი.

ამიტომ ყველგან, სადაც მეღორეობის გაუმჯობესებაზეა ლაპარაკი, უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს კერატი უნდა იკვებებოდეს ქერით ან სიმინდის ღერღილით (როშით) მსუბუქად. თუ კერატს ზედმეტი საკვები ვაძლიეთ, ის გასუქდება და სრულიად დაკარგავს დაგრილების უნარიანობას.

რამდენად დიდია ტახი, იმდენად მეტი საკვები სჭირდება. სანიმუშოდ აქ მოვიყვანთ ისეთ ტახის დღიურ ულუფას, რომელიც ცოცხლად იწონის შვიდ ფუთ ნახევარს. ასეთ ტახს დღეში ეძლევა:

ქერი . . 6 გირვანქა
ჭარხალი . 10 გირვანქა.

თუ ქერი და ჭარხალი არ იშოვება, მაშინ ეძლევა:

სიმინდის ღერღილი 6 გირვანქა.
გოგრა (კვახი) . . 12 გირვანქა.

საკვებს უნდა მიუმატოთ დღეში ორი-სამი მისხალი მარილი. **ზაფხულობით მეტად სასარგებლოა კერატის საბალახოთ გაყვანა, ხოლო ღორებში მისი გაშვება დაუშვებელია.**

თუ კერატი ცოცხლად 12 ფუთს იწონის, მას შეიძლება დღეში ვაძლიოთ:

| | |
|---|---|
| სიმინდის ღერღილი | 6 გირ. |
| ჭარხალი . . . . | 10 გირ. |
| კართოფილი . . | 6 გირ. |
| ძოხდილი რძე . . | 12 გირ. |

საღორესთან საჭიროა მოწყობილი იყოს წყლის აუზი, რომელშიაც ღორს შეუძლია ტანის დაბანვა. სისუფთავეს დიდი მნიშვნელობა აქვს ღორის ჯანმრთელობისათვის.

## დედა ღორის კვება და მოვლა

დაგრილებიდან (დამაკებიდან) გოჭების დაყრამდე ღორს სჭირდება ოთხი თვე. როცა დედა ღორს მოუახლოვდება გოჭების დაყრის დრო, უნდა მოაცილოთ სხვა ღორებს, მოუმზადოთ საღორეში ბუნაგი და ეცადოთ დაესწროთ გოჭების დაყრას. გოჭების დაყრის დროს დასწრება იმიტომაა საჭირო, რომ დაუყონებლივ მოაშოროთ დედა ღორს მომყოლი (ბუდე) და აგრეთვე მკვდარი გოჭებიც, თუ ასეთები დაყარა. თუ მომყოლი და მკვდარი გოჭები რამოდენიმე ხანს დარჩა საღორეში, ღორი შესჭამს ჯერ მომყოლს, შემდეგ მკვდარ გოჭებს და ბოლოს ცოცხალი გოჭების ჭამასაც დაეჩვევა. ერთხელ თუ მიეჩვია ღორი გოჭების ჭამას, შემდეგ ვეღარ გადაეჩვევა. ასეთი ღორი სანაშენოდ აღარ გამოდგება.

გოჭების მოგების შემდეგ ოთხიხუთი დღის განმავლობაში ღორს ახლოს უნდა ჰქონდეს წძინდა წყალი საკმაოდ. გოჭიანი ღორი უნდა იკვებებოდეს უხვად. ამ დროს მას წყალში თხლად გახსნილ სხვადასხვა ფქვილს და ქატოს აძლევენ. თუ მეურნეობაში მოიპოვება, დამატებად მიეცით ჭარხალი, თალგამი ან კარტოფილი. კარტოფილი უმჯობესია მოიხარშოს, რადგან კანში მას კვირტების ადგილას უნვითარდება ერთგვარი საწამლავი, რომელიც ავნებს ღორს. მოხარშვა კი სპობს კართოფილში ამ საწამლავს. თუ ძირნაყოფა მცენარენი არ მოიპოვება, მათ მაგიერ ხმარობენ გოგრას (კვახს). გოჭებიანი ღორის საკვები უნდა იყოს წმინდა, ნარჩევი და გემრიელი. საღორე და როფი-გეჯები ხშირად უნდა სუფთავდებოდეს. მხოლოდ ამ პირობებში შეიძლება, რომ დედა ღორმა კარგად აღზარდოს გოჭები.

## გოჭების კვება და მოვლა

დედა ღორის რძე გოჭებს სამ კვირას ყოფნის, შემდეგ კი საჭ როა მიეცეს მათ დამატებითი საკვები.

სამი კვირიდან დაწყებული, გოჭებს უნდა მისცეთ ძროხის წმინდა ან ხაღებ მოხდილი რძე, სიმინდის ფქვილი ან პურის ქატო. ფქვილი და ქატო იხმარება გოჭებისთვის ცხელ წყალში გათქვეფილი. ორი თვის შემდეგ შეიძლება გოჭები კვებოთ სიმინდისა და სხვა მარცვლეულთა ღერღილით. სამი თვის გოჭებს შეუძლიათ უკვე საბალახოზე გასვლა. გოჭებისთვის ძლიერ სასარგებლოა სამყურაბალახი. თუ საბალახო კარგია, გოჭებს დამატებითი საკვები არ დასჭირდება. მაგრამ რადგან ჩვენში ასეთი საბალახოები ნაკლებადაა, უმჯობესია გოჭებს დამატებითი საკვები მუდმივ ვაძლიოთ. დედა ღორსა და გოჭებს ნათელი და სუფთა ბინა უნდა ჰქონდეთ. საღორესთან საჭიროა პატარა აუზი მუდამ სუფთა წყლით, რომ ღორებს შეეძლოთ მასში ტანის დაბანვა.

თვალყურს უნდა ადევნებდეთ ღორებს, რომ მუდამ სუფთად და საღად იყურებოდენ და თუ რომელიმე ავადმყოფობა გაუჩნდათ, დროზე იქნას მიღებული ზომები.

მხოლოდ ასეთი კვებითა და მოვლით შეიძლება საერთოდ მეღორეობის გაუმჯობესება.

მესაქონლე **მ. ქურიძე**

# ჩაის ბუჩქის გაშენების მნიშვნელობა

უკვე ორმოცი წელიწადია, რაც ჩვენში პირველად ხელი მოკიდეს ჩაის ბუჩქის გაშენებას. მაგრამ წინათ ჩაის ბუჩქის გავრცელებას დიდ ყურადღებას არ აქცევდენ და მაშინდელი ხიკოლოზის მთავრობა არ იყო დაინტერესებული, რომ ჩვენში განვითარებუ ყო ისეთი დარგი, რომელიც ადგილობრივ გლეხობის მეურნეობის გაუძჯობესებას გამოიწვევდა და გლეხს მეტ შემოსავალს მისცემდა. ამიტომ ჩაის ნარგავებს შედარებით პატარა ადგილი ეჭირა.

მენშევიკების დროს ჩაის ნარგავების გაფართოვების მხრივ გლეხურ მეურნეობაში არაფერი არ გაკეთებულა. ხოლო დიდი ყურადღება ამ საქმეს საბჭოთა ხელისუფლებამ მიაქცია და გადასწყვიტა ყოველმხრივ ხელი შეუწყოს ჩაის ბუჩქის განვითარებას ჩვენში; ეს იმიტომ, რომ ჩაი დიდ სარგებლობას აძლევს შავი ზღვის სანაპირო ადგილებში მოსახლე გლეხობას და საგრძნობლად ადიდებს მის შემოსავალს.

## რამდენ ჩაის იძლევა ერთი ქცევა.

ჩაი სხვა დარგებთან შედარებით უფრო ხელსაყრელია გლეხისათვის. ერთი ქცევა საშუალოდ მოვლილ ჩაის ნარგავისა ყოველწლიურად აძლევს გლეხს ორას ორმოცდა ხუთ მანეთს; რასაკვირველია, თუ გლეხი უფრო მუყაითად მოუვლის, უფრო მეტ შემოსავალს მიიღებს.

ჩაისაგან მიღებული შემოსავალი რომ შევადაროთ სოფლის მეურნეობის სხვა დარგს, მაგალითად, სიმინდს, დავინახავთ, რომ ჩაი გაცილებით მეტ სარგებლობას აძლევს გლეხს, ვიდრე სიმინდი. როგორც ვიცით, ერთი ქცევა საშუალოთ 50—70 მანეთის სიმინდს იძლევა. აქედან სჩანს, რომ ერთი ქცევა ჩაის ნარგავი თითქმის ორას მანეთზე მეტ შემოსავალს მისცემს გლეხს, ვიდრე ერთი ქცევა სიმინდი.

ამიტომაა, რომ მთავრობა ყოველმხრივ დაბმარებას უწევს ჩაის ბუჩქის გავრცელებას ჩვენში.

ჩაის ბუჩქის გაშენების საქმე, რომ უფრო კარგად წავიდეს, ამიტომ უკვე ორი წელიწადია, რაც დაარსებულია სააქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაი“, რომელსაც დავალებული აქვს უხელმძღვანელოს ამ საქმეს ჩვენში.

ჩაის გაშენებას კიდევ ერთი დიდი მნიშვნელობა აქვს. მთელ საბჭოთა ქვეყნებში ჩაიზე მოთხოვნილება დიდია. ამიტომ საბჭოთა ქვეყნები ამ დიდ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად იძულებული არიან საჭირო ჩაი უცხოეთიდან შეიზიდონ.

ამისათვის კი დიდძალი ოქრო იხარჯება; ეს ოქრო შეგვიძლია ისევ ჩვენში დავხარჯოთ და ამით დიდძალ ჩაის დავამზადებთ. სწორედ დასავლეთი საქართველო ერთად ერთი კუთხეა, სადაც შესაძლებელია ამ ძვირფას მცენარის გაშენება; მხოლოდ ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი პირობები უწყობენ ხელს მის განვითარებას. ამიტომ თუ ამ საქმეს თვით გლეხობა შეგნებულად შეხვდა, მას შეუძლია დიდი შემოსავალი მიიღოს და ამავე დროს ჩაით დავაკმაყოფილოთ არა მთელი საქართველო, არამედ საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებიც.

ჩაის გასაღება სავსებით უზრუნველყოფილია; საბჭოთა კავშირის ბაზარს დიდი რაოდენობის ჩაი ესაჭიროება.

გარდა იმისა, რომ ჩაი დიდ შემოსავალს იძლევა, მას კიდევ ერთი უპირატესობა აქვს: შავი ზღვის სანაპირო ადგილებში ძლიერ ბევრია **ეწერი მიწები**, სადაც გვიმრა ან სხვა უვარგისი მცენარე იზრდება. გლეხობაც ასეთ მიწას უვარგისათ სთვლის, რადგან ასეთ მიწაზე ვერც სიმინდი, ვერც ლობიო და ვერც ლომი ხეირობს; უფრო უვარგისია ასეთ ადგილებში ჯიშიანი ვენახის, ხეხილის ან სხვა სასარგებლო მცენარის გაშენება.

### ჩაის ბუჩქი ეფერ მიწებზე კარგად ხეირობს

ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი გლეხისათვის, რომელიც მიწის დიდ სიმცირეს განიცდის. გლეხმა უნდა გამოიყენოს ასეთი ხელსაყრელი პირობები და ყველგან, სადაც კი ბუნება ხელს უწყობს ჩაის განვითარებას, გააშენოს ეს მცენარე. ამავე დროს გლეხმა უნდა იცოდეს, რომ ჩაის ბუჩქის გაშენება სრულებითაც არ შეუშლის ხელს სხვა სამუშაოს.

ჩაისათვის ნიადაგის დამუშავება, ჩაის გასხვლა, მიწის გაპოხიერება და სხვა სამუშაო ზამთრობით ან ადრე გაზაფხულზე სრულდება. ამ დროს გლეხის ოჯახს მეტი თავისუფალი დრო აქვს. ზაფხულობით და შირნახულის აღების დროს ჩაის ბუჩქს დიდი მუშაობა არ ესაჭიროება.

### ჩაის ბუჩქის მოსავლიანობა თანაბარი და მუდმივია.

ჩაის უყვარს ბევრი წვიმა და შედარებით დიდი სიცხე. სიმინდის მთესველს ერთნაირად ეშინია, როგორც ხშირი წვიმების, ისე ცხელი ამინდის. მართალია, დიდი გვალვა არც ჩაის უხდება, მაგრამ მიწის წესიერი დამუშავებით — თოხნით შეგვიძლია ავიშოროთ თავიდან მოსავლის შემცირება.

ამინდის შეცვლა იმდენ გავლენას ვერ ახდენს ჩაის ბუჩქზე, როგორც სხვა მცენარეებზე. ჩაის მოსავალი უფრო საიმედოა.

ჩაის ბუჩქის გაშენება ხელს არ შეუშლის მეაბრეშუმეობას, ძეფუტკრეობას და მეურნეობის სხვა დამხმარე დარგების განვითარებას.

### ჩაის საქმეში გაწაფვების და ძალების შრომაც გამოიყენება.

მრავალი სამუშაო ჩაის გაშენების საქმეში იმდენად ადვილია, რომ მისი შესრულება ქალს და ბავშვსაც თავისუფლად შეუძლია; მაგალითად, ჩაის ბუჩქის გასხვლა, მისი მოვლა, სასუქის შეტანა, ჩაის ფოთლის მოკრეფა და მრავალი სხვა, სულ ადვილად შეუძლია, როგორც ქალს, ისე ბავშვს, გარდა ამისა ჩაის ბუჩქის დამუშავება შედარებით ბევრ მუშა ხელს მოითხოვს და სწორედ მაგი ზღვის სანაპირო ადგილებში მუშა ხელის დიდი მარაგია.

აქაური გლეხობის, უმთავრესად კი ღარიბი გლეხობის, დიდი ნაწილი თავის მეურნეობაში ვერ იყენებს შრომას, რადგან მიწა მას ცოტა აქვს, სამუშაო კი მცირე. ამიტომ იძულებული ხდება წავიდეს სხვა შორეულ ადგილებში და იშოვოს ფული. მაგრამ ხშირად ის იმედ გაცრუებული უფულოთ ბრუნდება სახლში. ამიტომ ჩაის ბუჩქის გაშენებით გლეხს თავისი შრომა შეუძლია ისევ თავის მეურნეობას მოახმაროს და დიდი მოგებით აინაზღაუროს შრომა.

### მოქმაქალში ჩაის ნარგავები უფრო მეტად გაიზრდება.

საქჩაო საზოგადოება „საქართველოს ჩაი“ რომ ყოველმხრივ ხელს უწყობს ჩაის ბუჩქის განვითარებას ჩვენში იქიდანაც სჩანს, რომ 1926 წლამდე მთელ საქართველოში ათას ას სამოცი (1160) დესეტინა ჩაის ნარგავი იყო. ხოლო წელს ჩაის ბუჩქს უკავია ათას—ცხრაასამდე დესეტინა მიწა.

ეს დიდი მიღწევაა.

მომავალ წელს ჩაის ნარგავის სივრცე ათას—ხუთას დესეტინამდე უნდა გადიდდეს.

ხუთი წლის შემდეგ ეს სივრცე ცხრამეტ—ათას დესეტინამდე უნდა იყოს აყვანილი. შემდეგ წლებშიც ჩაის ნარგვები თანდათან გაფართოვდება.

მეტად დიდი მუშაობა აქვს დაწყებული და გასაკეთებელი „საქართველოს ჩაი“-ს და გლეხობა ყოველმხრივ უნდა დაეხმაროს ამ სასარგებლო საქმეში. თავის ხმრივ საზოგადოება „საქართველოს ჩაი“ დიდ დახმარებას და შეღავათებს აძლევს გლეხობას.

## შელაგათები.

საზოგადოებას ბევრი ინსტრუქტორი და ტეხნიკი ყავს, რომლებსაც კარგად მესწავლილი აქვთ ჩაის ბუჩქის გაშენების საქმე; ისინი მოვალე არიან უფასოთ გაუწიონ აგრონომიული დახმარება გლეხობას; მაგალითად: როგორ უნდა ჩაის ბუჩქის გაშენება, მიწის დამუშავება, ჩაის ბუჩქის მოვლა და სხვა.

საზოგადოება აგრეთვე ინსტრუქტორების და ტეხნიკოსების საშუალებით ასწავლის გლეხობას, თუ რომელ ბუჩქიდან უნდა მოიკრიფოს თესლი, რომ ამ თესლმა შემდეგ გაუმართლოს გლეხს შრომა. ამისათვის გლეხურ მეურნეობაში კარგ ბუჩქებიდან შეგროვებულ თესლს საქციო საზოგადოება ყიდულობს გლეხისათვის ხელსაყრელ ფასში.

შემდეგ ამ თესლის მცოდნე ხალხი გადაარჩევს, ან როგორც ამბობენ, დაახარისხებს და მხოლოდ კარგ, საღ თესლს მიაწვდის გლეხობას. ასეთი საღი თესლი ეძლევა გლეხობას სესხათ. საღი თესლიდან საღი ბუჩქი განვითარდება და გლეხის შრომაც მეტად დაფასდება.

გლეხობას რომ გაუადვილდეს ჩაის ბუჩქის გაშენება, ძას საზოგადოება „საქართველოს ჩაი“ აძლევს სესხს მეტად შეღავათიან პირობებში; ყველა იმ გლ ხს, ვინც მოკიდებს ხელს ჩაის ბუჩქის გაშეხებას, ეძლევა თვითეულ ქცევაზე ას-საპოცდა — ოთხი (164) მან. 8 წლის ვადით და წლიური ხუთი პროცენტით.

სესხის გადახდა ერთბაშად არ სწარმოებს. მხოლოდ მეხუთე წლიდან უნდა შემოიტანოს გლეხმა წაღებულ სესხის ერთი ეხუთედი და შემდეგ ასე ნაწილ-ნაწილად

ხუთი წელი იმიტომ არის აღებული, რომ ამ დროს ჩაის ბუჩქი საგრძნობ შემოსავალს იძლევა და გლეხსაც ადვილად შეუძლია წაღებულ სესხის ნაწილ-ნაწილ დაბრუნება.

ამრიგად, თუ ეს საქმე წესიერად წავიყვანეთ, უკვე რამოდენიმე წლის შემდეგ შავი ზღვის სანაპიროზე მოსახლე გლეხობის შემოსავალი ერთი ო-ად გაიზრდება.

აგრონომი ვ. ჯაში.

---

## როგორ დავიფაროთ მანდარინის ხე ყინვისაგან

წელს ადრე დაგვიდგა ზამთარი. საჭიროა ეხლავე დავიფაროთ თადარიგი, რომ არ გამეორდეს 1924—25 წლის ყინვებისაგან მიყენებული ზარალი.

მანდარინას შეუძლია აიტანოს—8 გრადუსამდე ყინვა. მას ვერ ავნებს ამაზე მეტი ყინვებიც, თუ ის თოვლით დაფარულია. მხოლოდ თოვლის სიმძიმით მკენარეს თაღი უფუჭდება, ტანი ეღუნება, ტყდება, შტოები ეხლიჩება და ხე მეტად ზიანდება.

ამის ასაცილებლად საჭიროა თაღის ტოტებს და შტოებს სარები მიედგას. სარებზე უნდა მიეკრას შტოები და ტოტები.

ყინვა აზიანებს ფურცელს, ყლორტებს, შტოებს და ტანს უხეთქავს ქერქს და ახობს ძკენარის მთელ თაღს.

მანდარინის ტანის ყველაზე უფრო სუსტი ადგილი, რომელსაც ყინვა ადვილად აფუჭებს, არის ის ადგილი, სადაც ნამყენი საძირესთან შეხორცებულია. ამიტომ ამ ადგილს ყოველთვის მიწა შემოყრილი უნდა ჰქონდეს.

ხის ვერც ერთი ნაწილი ისე ვერ უძლებს ყინვებს, როგორც ხის ტანი, მაგრამ დიდი ყინვების დროს ისიც იყინება და ხშირად სქდება.

ამ შემთხვევაში საჭიროა ხის ტანს წაესვას კირნარევი თიხა.


ეს კეთდება ასე: თიხა, კირი და ახალი ნაკელი თანაბარი ზომის აუურიეთ ერთმანეთში და ლაფის სითხის მაგვარი რომ გახდება, წაუსვით.

სხვა საშუალებათა შორის ყინვების წინააღმდეგ საჭიროა შემდეგი ზომები:

თუ ცა გადაწმენდილია საღამოს და ყინვებს მოველით, მანდარინის ნარგავში უნდა დაანთოთ ცეცხლი, რომ მთელი ღამე ბოლი დადგეს. ამისთვის ხმარობენ ფუტურო და ნედლ შეშას, ჩალა-ბულას, რომ მეტი კვამლი აუშვას.

ყინვების შემდეგ ნარგავი მზის ამოსვლამდე, ვისაც ეს შეუძლია, ჭილობით ან სხვა რამე ქსოვილით უნდა დაიჩრდილოს, რომ გაყინული ადგილები ერთბაშად არ გალხვეს.

ვაკე და ღია ადგილების ნარგავები, დადგება თუ არა ყინვები, უნდა შეახვიოთ. ამისთვის ხის ირგვლივ უნდა გაკეთდეს კარავი ასე: დაისვას სამი სარი, რომლის თავები ერთად უნდა გაიკრას სამფეხასავით და ზედ გარდიგარდმო წნელები გაეკ-



რას და შემდეგ დაიფაროს სიმინდის ან ღომის ჩალით, ან ისლით, გვიმრით, ჭილობით და სხვა.

სახურავი სქელი ფენათ არ უნდა დაედოს. ჰაერი შიგ თავისუფლად უნდა მოძრაობდეს, ამასთან თოვლი არ უნდა ჩაცვივდეს არც ზევიდან და არც გვერდებიდან.

შეხვევა მაგრად არ უნდა, ფოთლები შეიხუთება. მცენარე შეხვეული უნდა დარჩეს გაზაფხულის ყინვების გათავებამდე, შემდეგ კი უნდა შემოიხსნას, როგორც სურათზეა.

მოყინულ ტოტების გადასინჯვას კარგი დაკვირვება სჭირია, როგორც გაყინავს მაშინვე მისი შეტყობა ძნელია, ამიტომ უნდა დავაცადოთ გაზაფხულამდე, როცა ხეში წვენი ამოძრავდება. მაშინ გამოირკვევა, თუ რომელი ტოტია ყინვისაგან გამხმარი.

ზოგი ტოტი ყინვისაგან სქდება, ხმება და ქერქი შემოაძვრება. ეს ტოტები შეიძლება მაშინვე მოიჭრას, აგრეთვე ხეზე შემხმარი ფურცელიც მოშორდეს.

გამხმარი ნაწილები ნედლ ნაწილს უნდა მოეჭრას დანით ან ხერხით ან მაკრატლით, მოხერხილი ადგილი დანით უნდა მოსწორდეს და მოიწმინდოს, რომ ხეს მონაჭერ ადგილზე კუნძი არ გაუჩნდეს, მონაჭერ ადგილზე მალამო უნდა წაუსვათ.

ნამყენს ქვევით საძირეზე ამოსული ყლორტებიც უნდა მოეჭრას.

ტოტების მონაჭერზე ამოიყრის ბევრი ახალი ყლორტი. სანამ ეს ყლორტები ახალი და ნორჩია, საჭიროა ისინი მოაშოროთ, რადგან

ერთმანეთს გახევებას და დამთავრებას დაუშლიან. მათში უნდა დასტოვოთ ერთი ან ორი უკეთესი ყლორტი, რომელიც გარე ნაპირისაა.

მოყინულ მანდარინის ნარგავებს უნდა კარგი დამუშავება, საკმაოდ სასუქის მიცემა და რიგიანი მოვლა.

ყველაზე უკეთესი სასუქი ნაკელია, ნაკელი უნდა ძველი, კარგად გადამწვარი და დაუყაროთ მარტში ან აპრილში. ის უნდა დაიყაროს ხის ძირის ირგვლივ, ტანიდან ცოტათი მოშორებით.

ნაკელი რამდენიც შეიძლება მეტია საჭირო, მაგალითად, ახალგაზრდა ხეს სჭირდება ერთი ფუთი, საშუალოს ორი ფუთი, დიდს სამი ფუთი. საცა ნაკელი ძვირი საშოვარია, შეიძლება გვიმრა, ხის ფოთოლი მოაგროვოთ,

ჩაყაროთ ორძოში, დაალპოთ და ის იხმაროთ ნაკელის მაგიერ. უფრო უკეთესი კია, რომ გვიმრას, ტყის ფურცელს და ჩალას ჯერ იხარდეთ საქონლის ქვეშ საფენათ. ამ შემთხვევაში ნაკელიც ბლომად გამოდის და უფრო ნოყიერიც, რადგან ნაკელის სითხეს, რაც ნაკელში უფრო ძვირფასია, ეს საფენი შეიჟღენთავს და არ დაიკარგება.

აგრ. ერ. ნაკაშიძე.

## ტყის ხელოვნურად გაშენება.

აქამდე ჩვენ ბუნებრივი ტყეებით ვსარგებლობდით, მაგრამ ახლა ეს ტყეები ისე შემცირდა, გახადგურდა და დაგვიშორდა, რომ მისი მოვნა-ყიდვა და მოტანა ძლიერ ძნელი და ძვირი ჯდება.

ზოგი კუთხე უტყეოთ უდაბნოს დაემსგავსა. ქარს და ნიაღვარს აღარაფერი აკავებს და მოსავალი ნადგურდება. უტყეოთ ბევრგან ჰაერი და წყალი შეიცვალა და ადამიანის ჯანძრთელობაზე მავნე გავლენა იქონია.

ყველა ამის გამო ტყეების ხელოვნურად გაშენება აუცილებელი შეიქნა. სახელმწიფომ უკვე მიჰყო ხელი უტყეო სახაზინო ადგილებში ტყეების ხელოვნურათ გაშენებას.

მაგრამ მარტო ხაზინა ვერ გასწვდება ყველგან, სახელმწიფოს არც კერძო შეურნე —გლეხი უნდა ჩამორჩეს გლეხს მუდამ მოეპოება ფერდობი, მწირი, ჩამორეცხილ-ჩაქოხვავებული და ღელის პირა უხმარი ადგილი, სადაც მას შეუძლია ტყე გააშენოს და საჭირო სარ-წნელზე და შეშა-ფიჩხზე შორს სიარული, დროს დაკარგვა და ფულის დახარჯვა თავიდან აიცილოს.

ტყის ხელოვნურად გაშენება ჩვენში ახალი საქმეა, ცოდნა-გამოცდილება ნაკლები გვაქვს და ამიტომ დიდი სიფრთხილე გვმართებს ამ საქმეში.

### ტყის გაშენება შეიძლება თესლით და ნერგით.

თითქმის ყველა ტყის ხე და ბუჩქი თესლს იკეთებს და თესლით მრავლდება ამისათვის საჭიროა ხისა და ბუჩქის თესლი შევაგროვოთ და დავთესოთ. ტყის თესლები სხვადასხვა დროს შემოდის. საჭიროა თვალყური ვადევნოთ და გავიგოთ, თუ რომელი ხის თესლი როდის მწიფდება, როდ დაკრეფა-შეგროვება არ დავაგვიანოთ.

სხვადასხვაგვარ ტირიფს, ვერხვს, თელას და ზოგ სხვას თესლი გაზაფხულზე აპრილ-მაისში უმწიფდება და მათი შეგროვება დამწიფებისთანავე უნდა, თორემ ქარი გააყრევინებს და შორს სადმე გაჰფანტავს. ზაფხულის განმავლობაში მწიფდება— თრიმლის, თხილის, ბალამწარას, თუთუბოს და ზოგი სხვა ხეების თესლი და ისინი ზაფხულშივე უნდა შევაგროვოთ. უმეტესი და უმთავრესი ტყის ჯიშის ხეების თესლი კი შემოდგომაზე შემოდის და ზოგი მათგანი მთელი შემოდგომა და ზამთარი ხეზევე რჩება და ამიტომ მათი შეგროვება, გარდა შემოდგომისა, ზამთრის განმავლობაშიაც შეიძლება. რკო, წაბლი, წიფელი, პანტა, მაჟალო და ზოგი სხვაც შემოდგომაზე შემოდის; დამწიფებისთანავე ძირს სცვივა და თუ დროზე არ შევაგროვეთ, ღორი და სხვა ცხოველი შესჭამს. რკო ხშირად ჭიანი გამოდის და საჭიროა სიფრთხილე, რომ მხოლოდ საღი თესლი შევაგროვოთ.

იფნი (კოპიტი), ცაცხვი, რცხილა, ნაკერჩხალა, კუნელი, ზღმარტლი და ზოგი სხვა თუმცა შემოდგომაზე მწიფდება, მაგრამ დიდხანს ხეზევე რჩება და მათი შეგროვება ზამთარშიაც შეიძლება.

ჩვენი მეურნე ძლიერ დაინტერესებულია ეზოში მწვანე ხეები: ნაძვი, სოჭი, ფიჭვი, უთხოვარი და სხვა ჰქონდეს, მაგრამ ზოგმა არ იცის,

რომ ისინი თესლს იკრეფენ და ამ-თი თესლით გამრავლება შეიძლება.

ფიჭვი, სოჭი და ნაძვი ტოტებზე იკეთებს მუშტის ოდენა გირჩებს ანუ ტაროებს, რომელიც მზის ან ცეცხლის სითბოსაგან იხსნება და შიგნიდან წვრილი თესლი სცვივა. ამ ხეების გირჩები შემოდგომაზე შემოდის. დამწიფებულ გირჩს მუქ მოწითალო ფერი აქვს. ეს გარემოება კარგად უნდა გვახსოვდეს, თორემ თუ მწვანე გირჩები დავკრიფეთ, არ ვარგა, რადგან მწვანე გირჩში თესლი შემოუსვლელია და სათესლედ არ ვარგა. უთხოვარი მოწითალო ფერის ნაყოფს ისხავს, როგორც ბალი და შიგნით პატარა კურკა აქვს. სოჭის და ნაძვის გირჩი უფრო ადრე იხსნება და ამიტომ შემოდგომაზევე უნდა დავკრიფოთ. ფიჭვის გირჩი დიდხანს არ იხსნება და მისი დაკრეფა ზამთარშიაც შეიძლება. გირჩის გასახსნელად და თესლის გამოსაცვევნად, გირჩებს ცეცხლის ახლო ღუმელთან გაშლით, სითბოსაგან გაიხსნება და თესლი გამოსცვივა. გამოცვივნულ თესლს პარკში შეინახავთ, კედელზე დაკიდებულს, და გაზაფხულზე დასთესავთ.

ტყის თესლების შენახვა ორგვარად შეიძლება. ზოგი თესლი პარკში, ტომარაში ან სხვა რამე ჭურჭელში მშრალად ინახება და გაზაფხულზე პირდაპირ მიწაში ითესება. რკო და წაბლი ან შემოდგომაზე უნდა დათესოთ ან აუცილებლად მიწაში არეული გრილად შეინახოთ, თორემ ტომარაში ან ჭურჭელში უმიწოდ შენახული ხმება და აღარ ამოდის. წიფლის, კაკლის, თხილის, ნაკერჩხლის, ცაცხვის, პახტის, მაჟალოს, კუნელის, ზღმარტლის, თრიმლის, თუთუბოს და ზოგი სხვა ჯიშის თესლიც უმჯობესია მიწაში არეული ოდნავ ნესტიანად შევინახოთ, რომ გაზაფხულზე დათესილი ადრე ამოვიდეს, თორემ ზამთარში მშრალად შენახული და გაზაფხულზე დათესილი ხშირად მეორე წლამდე არ ამოდის.

თესლი რომ კარგად ამოვიდეს, საჭიროა დაკრეფისთანავე შემოდგომაზევე დავთესოთ ადგილზე, მაგრამ თუ ამას ვერ ვახერხებთ, მიწაში უნდა შევინახოთ. მიწაში შენახვა ასე უნდა: აიღეთ წმინდა ფხვიერი ძიწა ან სილა, ჩაყარეთ თიხის ჭურჭელში ან ხის ყუთში ან კალათში ისე, რომ ძირი დაუფაროს ერთი-ორი თითის სისქეზე, შემდეგ მოაყრით ხშირად თესლს და ისევ ერთი თითის სისქეზე მიწას წააყრით, კიდევ თესლი მოაყარეთ და შ მდეგ ისევ მიწა და ასე ამნაირად გაავსეთ ჭურჭელი. მიწას აუცილებლად სისველე უნდა ჰქონდეს, ჭურჭელი გაზაფხულამდე შეიძლება შეინახოთ სახლის თავზე, აივანზე ან გარეთ ხეზე ან ბოძზე, რომ თაგვმა არ გააფუჭოს. გაზაფხულზე თესლი მიწიანად ან გამორჩეული უნდა დათესოთ.

მეტყველე **მ. ცერცვაძე**



# ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲘ

## ᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲝ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ

სოფელში ხშირია ისეთი უეცარი შემთხვევა, როდესაც აუცილებელია სასწრაფო საექიმო დახმარება, ექიმი კი ახლო-მახლოს არსად იმყოფება.

ყველა დაიბნევა და არაყინ იცის, რა ჰქნას. უცოდინარობით ხშირად ისეთს ზომას და საშუალებას მიმართავენ, რასაც სარგებლობის ნაცვლად ზიანი მოაქვს. ამიტომ დიდი თუ არა, პატარა საექიმო ცოდნა მაინც ყველასათვის საჭიროა, მით უმეტეს მიწის მუშისათვის.

—

თუ გაიჭრა ვინმემ ხელი, ფეხი და მოსდის სისხლი, თქვენ მაშინათვე მივარდებით აბლაბუდას ან მოაგროვებთ ცხენის გამოშრალ განავალს და დაადებთ ზედ. სისხლი გაჩერდება. სისხლი შეიძლება მარილაც გაჩერდეს, მაგრამ ასეთი წამლობის შემდეგ ის მოეწამლოს დაშავებულს და თან გადაჰყვეს.

**ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲣᲡᲣᲤᲗᲐᲝᲑᲐ ᲭᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲡᲐᲕᲜᲔᲑᲔᲚᲘᲐ.**

რატომ?

იმიტომ რომ უსუფთაობაში აუარებელი უხილავი არსებანი ანუ ბაცილებია. ეს ბაცილები აჩენენ სხვადასხვა ავადმყოფობას, იწვევენ დაჩირქებას, სისხლის მოწამლვას, ანთებას, წითელქარებს და სხვ.

ცხენის განავალიც და აბლაბუდაც გატენილია ასეთი ბაცილებით და მათი საშუალებით სისხლის შეწყვეტა ყოვლად დაუშვებელია.

მაგრამ რა უნდა ჰქნათ?

მობანეთ პრილობა საპნით და წყალით, გაასუფთავეთ ძალიან, მარილწყალში ან შაბწყალში დაასველეთ სუფთა ცხვირსახოცი, პირსახოცი ან სხვა რამ და მაგრად შეუხვიეთ დაჭრილი ალაგი.

—

ვსთქვათ, ვისმეს ცხვირიდან სისხლი წასკდა. როგორ უნდა გააჩეროთ?

ცივწყალში დასველებული ტილო აფინეთ შუბლზე, თავზე, კისერზე და ყელზე შამოადევით, სასქესო ასოების გარშემო შემოახვიეთ ან დაადევით ზედ და თავი ძაღლა აუწიეთ. შაბწყალში ან მარილწყალში (ნახევარ ჩაის ჭიქა წყალში გახსენით ერთი ჩაის კოვზი შაბი ან მარილი) დიასველეთ სუფთა ბამბა ან ნაჭერა და ცხვირში კარგად ჩაუტენეთ.

ვთქვათ, ვისმე აუარდა სისხლის ხველება. რა უნდა ჰქნათ?

—

შეუხსენით ტანისამოსი, დააწვინეთ, აყლაპეთ ცივი რძე, ხან მარილწყალი და გულის ფიცარზე აფინეთ ცივ წყალში დასველებული ტილო, ახლოლად კარგად გაწურეთ ხოლმე.

როდესაც ვინმე სისხლიანს ახველებს სისხლი წითელია, თხელი ან დუჟიანი.

ზოგჯერ ავადმყოფჭა იცის სისხლის ღებინება. მაშინ სისხლი შავია, დაკვეთილი.

რა უნდა ჰქნათ ასეთს შემთხვევაში?

შეუხსენით ტანისამოსი, დააწვინეთ, გულის კოვზზე აფინეთ ცივ წყალში დასველებული ტილოები, აყლაპეთ კოვზით ცივი წყალი, თოვლიან ყინული.

—

თუ ვინმემ მდუღარე გადაისხა და ხელი, ფეხი ან სხვა ადგილი დაიფუფქა, რა საშუალებას უნდა მიმართოთ?

სუფთა ნაჭერი დაასველეთ საპმელის ხეთში, ან უმარილო ქონი წაუსვით და დამწვარზე დაადევით. თუ არც ერთი არ არის ხელთ, კარგათ გამტკიცული პურის ფქვილი მოაყარეთ ზედ.

თუ დამწვარი კანი ძალიან ამოიბუშტა ტკივილებს იწვევს, მაკრატელი გაბეჭეთ, ძალიან გაწმინდეთ, ან ცეცხლზე გაახურეთ, შემდეგ გაანელეთ და ბუშტები ძირში გაკვეთეთ,

რომ შიგ დაგროვილი წბილი გამოვიდეს და ბუშტი დაიფუკოს.

ვთქვათ, ვიხმე დაისიცხა, ყანაში მუშაობის დროს მზემ დაჰკრა, თავბრუესხმის, თავი უტრიალებს, გული უწუხს, რა უნდა ჰქნათ?

დააწვინეთ ჩრდილში, შეუხსენით საყელო, ტანისამოსი და თავზე ხშირად ასხით, აგრეთვე ხშირად ასვით ცივი წყალი.

—

აწყინა ვისმე რაიმე საჭმელმა: ხორცმა, თევზმა, სოკომ; გული ერევა, უწუხს, თავბრუესხმის, რა უნდა ჰქნათ?

უნდა ეცადოთ, რომ რაც შეიძლება მალე აუტყდეს პირღებინება. ამისათვის ფრთა გამოუსვით ხშირად ხახაში, თბილი წყალი ასვით. როდესაც კარგად წააღებინებს პირს და საჭმელი სულ ამოუვა უკან, გაუკეთეთ თბილი წყალის ოყნა და ავადმყოფს მთელიდღე საჭმელს ნულარ მისცემთ, აყლაპეთ ცოტაოდენი ცივი წყალი.

—

ვისმეს აქვს საზარდულის თიაქარი ჩამოსული. რაიმე მიზეზისა გამო თიაქარი გაიჭედა, გამაგრდა და ზევით აღარ ამოდის. ავადმყოფს ტკივილები აწუხებს, გული უწუხს, სიარული აღარ შეუძლია, მუცელში შეკრულია. ასეთი გაჭედვა თიაქარისა მეტად საშიშია: ნაწლავი დალპება და კაცს მოკლავს.

ავადმყოფი მაშინათვე უნდა ჩააწვინოთ კარგა გამთბარ წყალში და ხშირად ამის შემდეგ თიაქარი რბილდება და დაიშლება.

—

ზოგჯერ ჰატარა ბავშს ზნე გაუვლის, გადიქცევა და სხეულის კანკალი აუვარდება; დედა შეშინებული ჰკივის და თავში იშენს, რა უნდა ჰქნათ?

დააწვინეთ ბავში, შეუხსენით ტანისამოსი ან სულ გახადეთ, და დააყველეთ ცივ წყალში ტილო და უხილეთ გული, გვერდები, მუცელი და სახე.

ვთქვათ, დიდ ადამიანს ბნედა დაემართა. რა საშუალებას ჯნდა მიმართოთ?

დააწვინეთ ისეთ ალაგას, რომ არ გადავარდეს. თუ ხელებისა და ფეხების კრუნჩხვა ნამეტანი აქვს, გაუკავეთ ხელფეხი, რომ არ დაიშაოს. პირში კოვზი ჩაუყავით, რომ ენა არ დაიწუწკოს.

—

ვისმე ცეცხლი მოეკიდა და მთელ ტანისამოსზე შემოედო, რა საშუალებას უნდა მიმართოთ?

ვიდრე ტანისამოსს გახდიდეთ ან შემოახევდეთ, ადამიანი დაიწვის. უნდა შემოახვიოთ, რაც მოგვხდეთ: ფარდაგი, ჭილობი, საბანი, ხაბადი და სხვ. დააწვინეთ და ატრიალეთ, სანამ ცეცხლი არ ჩაქრება. თუ არაფერი გიქნებათ ხელთ, თქვენი ტანისამოსი გაიძვრეთ და იმაში გახვიეთ.

როდესაც ცეცხლს ჩააქრობთ, ასხით შემდეგ მთელ ტანზე ცივი წყალი, რომ სულ გაიწუწოს; მერე **შემოაჭერით ტანისამოსი, თორემ გახდა თუ დაუწყეთ, დამწვარი კანი გადაეყვლიფება.**

—

ვთქვათ, ქალს ტაბასტა დაემართა და სისხლი აღარ წყდება.

დააწვინეთ და წელ ქვეშ შეუდევით რაშე, რომ ქვედა ტანი ცოტა აწეული ჰქონდეს; შემდეგ პატარა მუცელზე ადევით ყინული, თოვლი; თუ არ იშოვება, მაშინ ცივ წყალში დასველებული გაწურული პირსახოცი.

—

ვისმე აუვარდა ძლიერი მუცლის ტკივილი. გახსენით ნელთბილ წყალში საპონი და გაუკეთეთ ოყნა ერთხელ, ორჯერ. თუ სიცხე აქვს, მუცელზე ცივწყალში დასველებული პირსახოცი აფინეთ; თუ არა აქვს სიცხე, მაშინ მემოადევით მოშუშული ქატო, გახურებული კეცები, ცხელი წყალი ბოთლებით, მაგრამ გაახვიეთ რაშეში, რომ კანი არ დაეწვას.

**ივ. გომართელი.**

# მეცნიერება და ტექნიკა

## მთვარის დაბნელება


1927 წელს დეკემბრის 8-ს, საღამოს 8 საათზე მოხდა მთვარის სრული დაბნელება, რომელმაც შეუგნებელ ხალხში სხვადასხვა მითქმა-მოთქმა გამოიწვია.

მთვარის და მზის დაბნელება ცრუმორწმუნე ხალხში ყოველთვის ათასნაირ მითქმა-მოთქმას იწვევდა, რადგან მისთვის გაუგებარი და საიდუმლოებით სავსე იყო ეს მოვლენა. ერთის აზრით მთვარე და მზე იმიტომ ბნელდებოდა, რომ გველაშაპი უპირებდა მათ გადაყლაპვას. მეორეებს კი ეს მოვლენები ღვთის რისხვად მიაჩნდათ და რაღაცა დიდ უბედურობას მოელოდნენ ცოდვილ ხალხის დასასჯელად:

იმ წელს, რა წელსაც მზის ან მთვარის დაბნელება მოხდებოდა, აუცილებლივ ვითომდა ან დიდი ომი ან შავი ჭირი ან კიდევ სხვა სახალხო უბედურობა უნდა დატრიალებულიყო.

მაშინდელი სასულიერო წოდება და გამეფებული შეძლებული კლასები ფართედ სარგებლობდენ ხალხის ასეთ გულუბრყვილობით და არამც თუ არ ცდილობდენ ამ ცრუმორწმუნეობის გაბათილებას, არამედ უფრო მეტად აღვივებდენ მას, იგონებდენ ამისთვის საგანგებო ლოცვებს ღმერთის გულის მოსაგებად. სალოცავების კარებები იღებოდა, შესაწირავი და მსხვერპლი მრავლად მოდიოდა და სასულიერო წოდებაც სიამოვნებით ხელს ითბობდა. გაბატონებული კლასებიც კმაყოფილებით შეჰყურებდენ ცხვარივით დამონებულ ხალხს.

თუ მზის ან მთვარის დაბნელების წელი მშვიდობით ჩაივლიდა, ხომ კარგი, ამას სასულიერო წოდება თავის ღვაწლს მიაწერდა ხოლმე და ხალხიც ბრმად უჯერებდა, მაგრამ თუ ომი იფეთქებდა ან ჭირი გაჩნდებოდა მაინც, სასულიერო წოდება ისევ ხალხს ამტყუნებდა, რომ მან ვითომდა სავსებით ვერ გამოისყიდა თავისი ცოდვები და ისევ ლოცვით და მსხვერპლით ურჩევდა გარისხებულ ღმერთის გულის მობრუნებას.





მთვარის დაბნელება

დღევანდელი სასულიერო წოდებაც მზად არის ასე გაასულელოს შეუგნებელი ხალხი, იმისდა მიუხედავად, რომ ყველა წერა-კითხვის მცოდნემაც კი კარგად იცის, რომ მზის და მთვარის დაბნელება ისეთივე ბუნების

ვლენაა, როგორც მზის და მთვა-
ის ჩასვლა-ამოსვლა.

სამყარო წარმოადგენს უსაზღვრო სივრცეს, რომელშიაც ბუნების განსაკუთრებულ კანონის ძალით სრულიად განსაკუთრებულ გზებით დასცურავს ყველა ცის მნათობი: მზე, მთვარე, დედა-მიწა და სხვა ურიცხვი ვარსკვლავები. მზეს უკავია შუაგული და მის გარშემო დატრიალებენ მრა-




მზის დაბნელება

ვალ მილიონ კილომეტრის მანძილზე ჩვენი დედა-მიწა და მთვარე, ისე როგორც ნაჩვენებია სურათზე.

როცა მზის და მთვარის შუა ჩადგება ხოლმე დედა-მიწა, მაშინ, ცხადია, დედა-მიწის ჩრდილი მიადგება მთვარეს და დაბნელდება, ისე როგორც ვსთქვათ თქვენს და ანთებულ ლამფის შუა რომ ჩადგეს ვინმე და თქვენი სახე დაიფაროს ამ კაცის ჩრდილით. ეს იქნება მთვარის დაბნელება.

მაგრამ როცა მზის და დედამიწის შუა ჩადგება მთვარე, მაშინ მთვარე აბოლფარება მზეს და მოხდება მზის დაბნელება, ისე, მაგალითად, როცა ანთებულ ლამფას და თქვენ შუა დაიჭერთ ბურთს და სანათურს ვეღარ დაინახავთ.

კაცობრიობას დიდი ხანია შემჩნეული აქვს, რომ ეს მოვლენები ერთ განსაზღვრულ დროს შემდეგ მეორდებიან. მაგალითად, მთვარის დაბნელება მეორდება ყოველ 6585 დღის და 7 საათის შემდეგ. ამიტომაა, რომ იმ ხალხმა, რომელსაც დაკვირებული აქვს ცის მნათობებზე თვალყურის დევნა, წინდაწინვე იცის, როდის მოხდება მთვარის შემდეგი დაბნელება. ისე, რომ წარსულ წლის 8 დეკემბრიდან რომ დავითვალოთ 6585 დღე და 7 საათი, მაშინ ჩვენც შევძლებთ გამოვიანგარიშოთ წინდაწინვე თუ რა დღეს და რამდენ საათზე მოხდება მთვარის შემდეგი დაბნელება. ეს მეორდება ყოველ 18 წლის და 10 დღის შემდეგ. ამ რიგათ, მთვარის ახალი მორიგი დაბნელება მოხდება 1945 წ. 18 დეკემბერს.

ნ. ა.

## რადიო და მისი მნიშვნელობა.

სწორედ სასწაულთ მოქმედების ხანაში ვცხოვრობთ. ადამიანის გონების გამოუცნობი და შეუსწავლელი არაფერი რჩება. ის მისწვდა ბუნების ყველა საიდუმლოებას. აღმოაჩინა და თავის კეთილდღეობისათვის გამოიყენა ბუნებაში დაგროვილი ულეველი ძალა—**ელექტრონი.**

ელექტრონი გაიხადა მან მონათ და გააკეთებინა ყოველგვარი მძიმე თუ სუსტი საქმეები. ელექტრონის შემწეობით ადამიანი მორეულ მანძილზე ატყობინებს თავის აზრს მეორე ადამიანს.

გავიდა ხანი და გამოგონილი იქმნა „საზღაპრო“ უმავთულო ტელეგრაფი-ტელეფონი ანუ რადიო, მაგრამ რა დიდი საზღვარი დევს მავთულიან და უმავთულო ტელეფონს შორის!

რადიოსათვის არ არსებობს არც ბოძები, არ არსებობს მისთვის გაუვალი უდაბნოები, უსაზღვრო ზღვები და ოკეანები. ვერ აკავებს მას ვერც წვიმა, ვერც თოვლი, ვერც ქარი. დაიწყებს თუ არა ბუშაობას რადიოს გადამცემი სადგური, მისთვის ყოველი საზღვარი გადალახულია. ხიხართ თქვენთვის ოთახში აპარატთან

და ისძენთ თქვენგან ასეულ და ათასეულ კილომეტრით დაშორებულ ადამიანის ხმას.

მთელ კულტურულ კაცობრიობას მოედვა ეგრეთ წოდებული რადიო. რადიო-მოწყობილობის დადგმა და მისი სათანადოთ გამოყენება დღეს ყველასათვის ხელისაწვდომი გახდა. დასაელეთ ევროპის და ამერიკის სახელმწიფოებში რადიოს მოყვარულები მილიონობით ითვლებიან. ჩვენში ეს საქმე ახალი, სულ ოთხი—ხუთი წლის ამბავია, მაგრამ ამ მოკლე დროში საკმაოდ გავრცელდა ის. მთელ საბჭოთა კავშირში დაახლოებით 200 ათასამდე რადიო-მოყვარულია

იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომების შემდეგ, რადიოს საქმე უფრო სწრაფათ განვითარდა და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კიდევ უფრო სწრაფათ წაიწევს წინ.

**რადიოს მნიშვნელობა-**

რადიო მძლავრი იარაღია ადამიანის ხელში. მისი მნიშვნელობა ადამიანის ცხოვრებაში განუსაზღვრელია. საზოგადოების კულტურული დონის ასამაღლებლად საჭიროა საზოგადოებას ქონდეს ბრაგალი ჟურნალ-გაზეთები და რაც შეიძლება მალე იგებდენ ქვეყნის ამბებს. მაგრამ ყველა მუშა და გლეხისათვის ჟურნალ-გაზეთების გამოყენება არც ისე ადვილი საქმეა, და არც ისე მალე გაიგება ქვეყნის ამბები გაზეთის საშუალებით.

რადიოს საშუალებით კი დროისა და ფულის დაზოგვით ეს საქმე ჩინებულად სრულდება. ლექციებს, საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვის, მეურნეობის და მრეწველობის განვითარების საკითხებს და სხვა და სხვა ქვეყნის პოლიტიკური ცვლილებათა შესახებ ცნობებს რადიო სწრაფად აწვდის ქვეყნის ყველა კუთხეს, სადაც კი რადიო აპარატი სდგას.

უფრო განსაკუთრებული მნიშვნელობა მიეცა რადიოს სამხედრო მოქმედების დროს. ჩვენ ვიცით იმპერიალისტურ ომის დროს გერმანიამ სხვაზე უფრო განვითარებული რადიოს შემწეობით არა ერთი და ორი სასტიკი დამარცხება აგემა თავის მძლავრ მოწინააღმდეგეებს.

ომის დროს რადიოს შემწეობით სწრაფათ მიწოდებულ საჭირო ცნობების მეოხებით სამხედრო გემები, აეროპლანები და ჯარი ისე აწყობენ საქმეს, რომ რაც შეიძლება მეტ ზარალს აყენებენ მტერს.

შემდეგში განვიხილოთ, რა არის რადიო და როგორ შეიძლება მისი საშუალებით ცნობების მიღება და გადაცემა.

**აქ. შანიძე.**



გლეხები ისმენენ რადიოს

# ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲓᲔᲒᲘ ᲪᲝᲓᲜᲐ.

**რამდენი მუშა-ხელი და მასალა დასჭირდება ერთ დღიურ (1200 ოთხკუთხი საჟენი) ხეხილის ბაღის გაშენებას.**

| | |
|---|---|
| 1. მიწის გადაბრუნება 54 სანტიმეტრზე (12 ვერშ.) . . . . . | 150 მუშა |
| 2. სასუქის შეტანა . . . . . | 12 „ |
| 3. სასუქის გაშლა, დაგეგმვა და სარგების დასობა . . . . . | 6 „ |
| 4. ორმოების ამოღება (16 ვერშ. ×12 ვერ.) და შიგ მიწის ჩაყრა . . | 12 „ |
| 5. ნამყეების დარგვა, მიწის გასწორება . . . . . | 3 „ |
| 6. სარწყავ რუების გაყვანა . . . | 2 „ |
| 7. სამხელ გათოხვნა ზაფხულის განმავლობაში . . . . . | 36 „ |
| 8. 80 ფუთ ნაშომპალის შეტანა, ორმოებში ჩაყრა (ძირზე 1 ფუთი) და კირის წაცხება . . . . . | 3 „ |

**მ ა ხ ა ლ ა.**

| | |
|---|---|
| 1. ნერგი . . . . . | 100 ცალი |
| 2. სარი . . . . . | 100 „ |
| 3. სასუქი . . . . . | 1200 ფუთი |
| 4. ნაშომპალი . . . . . | 80 „ |
| 5. შაბიამანი . . . . . | 2 გირვან. |
| 9. კირი . . . . . | 15 „ |
| 7. რაფია . . . . . | 1 „ |
| 8. გოგორდი . . . . . | 3 „ |
| 9. პარიზის მწვანე . . . . . | 10 მისხ. |
| 10. წერილი მავთული . . . . | 2 „ |
| 11. სიქა . . . . . | 100 ცალი. |

# ᲙᲘᲗᲮᲕᲐ-ᲞᲐᲡᲣᲮᲘ

## ᲐᲑᲠᲝᲜᲝᲛᲘᲣᲚᲘ ᲓᲐᲠᲘᲒᲔᲑᲐ.

**კითხვა.** მინდა გავაშენო მანდარინის ბაღი. მიწა ხუთ ვერშოკს ქვეით წითელია. ორმოები უკვე ამოღებული მაქვს. როგორ მოვიქცე წითელ მიწის შესახებ და როდის სჯობს დარგვა?

ლანჩხუთი. **მოსე ბარამიძე.**

**პასუხი.** თქვენ კუთხეში ნიადაგი უმთავრესად წითელ მიწისაგან შესდგება. ამას ვერაფერს გავაწყობთ. მაგრამ იმ არეს, სადაც მანდარინი გეწნებათ დარგული, გაუმჯობესება და განაყოფიერება ყოველთვის შეიძლება. ვიდრე ნერგის დარგვას შეუდგებოდეთ, თვითეულ ორმოს ახლოს უნდა დაამზადოთ ნარევი მიწა და ის ჩაყაროთ ორმოებში. ნახევარი მიწა უნდა შესდგებოდეს სჭონლის ნაკელის, ზე-ნიადაგის მიწის, ნაცარის, კირის და ლამისაგან. წითელი მიწა ძლიერ ღარიბია მცენარისათვის საჭირო საზრდოთი და ამიტომ საჭიროა მისი გულუხვად განაყოფიერება. რაც შეეხება დარგვას, ჩვენში უფრო შემოღებულია გაზაფხულზე დარგვა. დარგეთ თებერვლის გასულს, ან მარტის დასაწყისში. დარგვის გათავების შემდეგ, ორმოებს ზემოდან გამხმარი ფოთოლი ან ჩალაბულა მოაყარეთ, რომ მიწა არ გამოშრეს.

**კითხვა** მინდა ვაზის მყნობა. რომ არ გახანგრძლივდეს, მირჩიეთ, რომელი მალამო ვიხმარო. გავიგეთ, ვითომც ზემო იმერეთში რაღაც მალამო გამოეგონოთ რომელსაც ნამყენ ვაზის შესახორცებლად ხმარობენ.

**პლ. სარველაძე**

**პასუხი.** ვაზის მყნობის დროს მალამოს არ ხმარობენ. ის იხმარება მხოლოდ ხეხილის მყნობის დროს, ისიც მაშინ, როცა კალმით ან კვწვრით აწყნობენ. კვირტით მყნობის დროსაც მალამოს არ ხმარობენ. ერთბაშად ვაზის მყნობის დროს ურჩევდნენ კოლოდიუმის ხმარებას, მაგრამ მერე დაინებეს თავი, რად ან კოლოდიუმით ნამყენი არაფრით არ გაირჩევა უკოლოდიუმოთ ნამყენისაგან. როცა ნამყენი ვაზი თბილ ოთახში ხავსში გაძოჭყავთ, მაშინაც კი არამც თუ მალამოს, არამედ შესახვევ მასალასაც არა ხმარობენ, სანამყენოს და საძირეს მხოლოდ ერთმანეთის გაწაპრებში ჩასვამენ და ისე სდებენ ხავსში. ჩვენ ცნობები არა გვაქვს ზ. იმერეთში გათოხნებაზე ძალამოს შესახებ. კარგი იქნება, გვაცნობოთ რაში მდგომარეობს ეს გამოგონება.

**გ. ბიბილაშვილი.**

რედაქტორი-აგრონომი ნ. ალნიაშვილი. პასუხ. რედაქტორი გ. მუშიშვილი.

მთავლ. № 41. გამომცემლობა „ახალი სოფელი“ ტირაჟი 10.000.

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა კამოს ქუჩა, № 68.

# ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲨᲘ ᲜᲐᲮᲛᲐᲠ ᲣᲪᲮᲝ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲡᲜᲐ

**აპარატი** — მანქანა, იარაღი, ხელსაწყო.

**ეკონომიური** — ეკონომიური.

**იმპერიალისტური** — ნარმოსდგება სიტყვიდან „იმპერია“, რაც ნიშნავს მფლობელობას, აქედან იმპერიალიზმი — მფლობელობა, დაპყრობა, იმპერიალისტი — სხვა ქვეყნების დაპყრობის მოხრე.

**ინსტრუქტორი** — საქმის მცოდნე, რომელიც იძლევა დარიგებებს. მაგ. ჩაის ბუჩქის კულტურის ინსტრუქტორი, მესაქონლეობის ინსტრუქტორი და სხ.

**კვადრატიული** — ისეთი არე, რომელსაც სიგრძე და სიგანე, ესე იგი, ოთხივე მხარე თანასწორი ზომისა აქვს. მაგალითად, კვადრატიული საჟენი იმ არეს ჰქვიან, რომელსაც სიგრძეც და სიგანეც თითო საჟენი აქვს.

**კუბიკური** — კუბიკური ეძახიან ისეთ ხეულს, რომელსაც სიგანე, სიგრძე და სიმაღლე თანასწორი აქვს. მაგალითად, ერთი კუბიკური საჟენი შეშა ეს ისეთ შეშას გროვაა, რომელსაც სიგრძე სიგანე და სიმაღლე თითო საჟენი აქვს.

**კულტურა** — სწავლა-განათლება, მაგალითად, კულტურული ხალხი ან განთლებული ხალხი, მცენარის გონივრულათ მოვლა-პატრონობა და გაშენება, მაგალითად ჩაის კულტურა, ბაზმის კულტურა და სხვა.

**მასიური** — მასა — მრავალი, ბევრი, ხალხური: მასიური განათლება — უმრავლესობის განათლება, მასიური ბრძოლა — უმრავლესობის ბრძოლა.

**ორგანიული** — ორგანო — ცოცხალი არსების ასო ანუ ნაწილი. ორგანიული ნივთიერება ჰქვიან ისეთ ცოცხალ არსებათა ნარჩენს, რომელთაც აქვს ორგანოები ანუ ასოები და ეს ორგანოები ასრულებენ რაიმე დანიშნულებას, მაგალითად, მცენარისთვის ფოთოლი, ადამიანისთვის ფილტვი და სხვა. მცენარის და ცხოველის ნარჩომი არის ორგანიული ნივთიერება: ხორცი, მერქანი, და სხვა.

**პროცენტი** — სარგებელი ასზე, მაგალითად, ორი პროცენტი — ას წილზე ორი წილი.

**პოპულიარული** — ხალხური, მდაბიო ენაზე დაწერილი, სახელგანთქმული.

**პრაქტიკა** — ცდა, გამოცდილება, პრაქტიკის კაცი — გამოცდილების კაცია.

**სანიტარული** — რასაც კავშირი აქვს ჯანმრთელობასთან, სისუფთავესთან.

**სანტიმეტრი** — მეტრის ერთი-მეასედი ნაწილი.

**ხუბტროპიკული** — თბილი ქვეყნის.

**ტონა** — ინგლისური წონა, უდრის 61 ფუთს.

**ტიპი** — სახე, ნიმუში.

**ტექნიკა** — რაც ეკუთვნის ხელოვნებას და მეცნიერებას, მაგალითად, მიწის დამუშავების წესი ანუ ტექნიკა, აბრეშუმის ძაფის ამოღების წესი, მანქანა-იარაღების გამოყენება.

**ტექნიკოსი** — ტექნიკის მცოდნე პირი.

**ჰექტარი** — მიწის ზედაპირის ზომაა, უდრის — 2200 კვადრატიულ საჟენს ანუ 10.000 კვადრატიულ მეტრს.

**ჰიგიენა** — საექიმო დარგია, რომლიც გვასწავლის, თუ როგორ დავიცვათ ჯანმრთელობა.

ა 984 ს
1928

## ...იიღება ხელის მოწერა 1928 წლისათვის საქარ...

**კომპ. ცენტრ. კომიტ. ყოველკვირეულ საგლეხო გ...**

# „ახალი სოფელი“

გაზეთი ღირს: ერთი წლით—1 მან. ექვსი თვით—60 კაპ. სამი თვით—40 კაპ. გაზეთი გამოდის ოთხჯერ თვეში: სამი ნომერი—ჩვეულებრივად, ხოლო ერთი ნომერი—საგანგებო—16 გვერდზე, გაუმჯობესებული შინაარსით - ლიტერატურული და იუმორისტული (სახუმარო) განყოფილებით.

„ახალი სოფელი“-ს გავრცელებაზე გამოცხადებულია შეჯიბრი (კონკურსი) რომელშიაც ყველას შეუძლიან მიიღოს მონაწილეობა, ვინც მოისურვებს შეჯიბრში, მონაწილეობის მიღებას, ან გაზეთის ჩვეულებრივ პირობებში გავრცელებას (ეძლევა 10 პროცენტი), უნდა მიმართოს რედაქციას და გადაეგზავნება: ხელის მოწერის საქვითარო სიები, წიგნაკები, მოწოდების და პირობების ფურცლები.

გაზეთის წლიურ ხელისმომწერლებს, დრო გამოშვებით, დაურიგდებათ გაზეთის უფასო დამატება—სხვადასხვა წიგნაკები.

რედაქციის მისამართი: ტფილისი, გოლოდარსკის ქ. № 11

**„ახალი სოფელი“-ს რედაქცია.**

---

# „კომუნისტი“ დიდი პოლიტიკური გაზეთი

**საქ. კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის, ტფილისის კომიტეტის და საქ. ცაკის ორგანო**

**მიიღება ხელის მოწერა 1928 წლისათვის**

**გაზეთი ეღირება**

მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელარმიელების, მოწაფეებისა და მასწავლებლებისათვის

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 თვით | 1 მ.— კ. | 7 თვით | 6 მ. 70 კ. |
| 2 „ | 2 „— „ | 8 „ | 7 „ 65 „ |
| 3 „ | 2 „ 90 „ | 9 „ | 8 „ 60 „ |
| 4 „ | 3 „ 85 „ | 10 „ | 9 „ 55 „ |
| 5 „ | 4 „ 80 „ | 11 „ | 10 „ 50 „ |
| 6 „ | 5 „ 75 „ | ერთი წლით | 11 „ 50 „ |

მისამართი: ტფილისი, რუსთ ვ. პრ. № 34, გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა.

---

## მიიღება ხელის მოწერა

**1928 წლისათვის**

**ს. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური ჟურნალზე**

# „სოფლის კომუნისტი“

ჟურნალში ადგილი ეთმობა სოფლად პარტიულ მუშაობისა და საბჭოთა აღმშენებლობის საკითხებს.

ხელის მოწერის პირობები: 1 თვით—20 კაპ. 3 თვით—50 კაპ. 6 თვით—1 მ. 1 წლით—2 მან. ცალკე ნომერი—20 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება შემდეგი მისამართით: ტფილისი, საქ. კომ. პარტიის ცენტრალურ კომიტეტის ბეჭდვითი განყოფილება, „სოფლის კომუნისტი“-ს რედაქციას.